C M Y K

საერთო საქმე

№16 (328) ● 29 მაისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

„რესპუბლიკელები“ სპეციალურად გამოიტყუეს პარლამენტიდან, რომ ცოტა მოგვიანებით კაი მამა-პაპური ჭიტლაყი ამოარტყან?

სოსო მანჯავიძე:

პირდაპირ ვამბობ, ეს პროცესები დავით უსუფაშვილის ინსპირირებული იყო! „რესპუბლიკელებმა“ მცოცავი გადატრიალება მოაწყვეს!

რევანშისტები ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

დედალი ქანდარაზე და ამუ „ნიბირუდან“

დავით კოდუას ირიბად ახდენილი „ბავშვური“ ოცნებები

სახელმწიფო გადატრიალება აშშ-ში იმიტომ არ ხდება, რომ იქ არ არის აშშ-ს საელჩო

როდის დადგება ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი?

ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები ამიერიდან უსუფაშვილების „სპალნაში“ გადაწყდება?

რეზო ჩხეიძე: „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც!“

მომდევნო 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი 800 წლის იუბილის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეს, მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო სრულიად საქართველოსთვის. **ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, რომ დიდი მგოსნის 850 წელი გაცილებით უფრო მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.**

სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ **ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი** ოქტომბრის თვეში, თბილისობის დღეებში. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვაძლებინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. **გენიალურმა შოთამ და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მთელ მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები.** ეჭვი არ მეპარება, რომ გვექნება ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა. მეამაყება, რომ „ქართული ერთობის დარბაზი“ ემიჯნება ყოველგვარ დაპირისპირებას და საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მიიჩნევს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. **დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია - მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.**

მსოფლიო პოეზიის ერთი დიდი მწვერვალის, **გენიალური შოთა რუსთაველის იუბილე ჩვენი სიძლიერისა და ჩვენი ერთობის დემონსტრირებად უნდა ვაქციოთ ხალხმა და ხელისუფლებამ.** ეს არის ჩემი თხოვნა, ჩემი ასაკისა და ჯანმრთელობის გამო, იქნებ უკანასკნელიც... ვიქნები ბედნიერი, თუ საქართველოს გაზეთები და ტელევიზიები მხარს დაუჭერენ ჩემს მოსაზრებას. მათ მიმართაც აღარ მექნება მეტი თხოვნა.

გვიყვარდეს საქართველო! გავუფრთხილდეთ საქართველოს! დავიცვათ საქართველო!“

რეზო ჩხეიძე

კინორეჟისორი,

მშვიდობის მსოფლიო ელჩი

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი კინორეჟისორი და საზოგადო მოღვაწე

რეზო ჩხეიძე

რედაქცია სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

მადლობა! გემშვიდობებით! ბატონო რეზო!

თქვენს სახლში ჩვენ ხელი მოვაწერეთ დიდ ქართულ დოკუმენტს - “ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო “ და მას „მოქმედების მანიფესტი“ ვუწოდეთ. ეს იყო და არის თქვენი სულისთქმა.

გვახსოვს, თქვენ მაშინ თქვით: ჩვენი თაობის მეგობართა ფართო წრე ბოლო წლებში ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე. ამ განწყობას გვიძლიეერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით სავსე ქადაგებები. ჭაბუა ამირეჯიბს, გიგა ლორთქიფანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მერაბ ბერძენიშვილს, რეზო ამაშუკელს, ჯანსუღ ჩარკვიანს და არაერთ სხვა მოღვაწეს ღამეები გვითენებია ამ საქვეყნო სატკივარზე ფიქრში. ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღო სამმა გენიოსმა - ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. დიდხანს მინდა ვიცოცხლო, ვიყო თქვენს გვერდით და ვიმოქმედოთ ერთად, რომ შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად. გიყვარდეთ საქართველო! გაუფრთხილდით საქართველოს! დაიცავით საქართველო! ეს არის ჩვენი ანდერძი, ისეთივე მამაშვილური, როგორიც ჩვენ მივიღეთ წინა თაობებისაგან.“

მართლაც, გენიალური ნათქვამია, წინასწარმეტყველური.

თქვენ გრძნობდით, რომ მიდიოდით ჭაბუასთან, მუხრანთან, გიგასთან და ძველით ახალი წლის წინა დღეებში, საავადმყოფოში დაწოლის წინა დღეს, გვითხარით თქვენი თხოვნა ერისა და ბერისათვის გადასაცემად - იგი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეს აღნიშვნას და საქართველოში მსოფლიო კონგრესის მოწვევას ეხებოდა და ასე დაასრულეთ: „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც“.

მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა, მაგრამ ზუსტად ის თხოვეთ ერსა და ბერს, რაც მართლაც გამოკვეთილად სჭირდება დღეს საქართველოს.

...ძლიერი იყავით თქვენი წარსულით, ამაყობდით ჩვენი ქვეყნის ისტორიით, ჩვენი მეფეების, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის მოღვაწეობით, ერის მამად თვლიდით ილია ჭავჭავაძეს, მიგაჩნდათ რომ ქართული პლანეტარულს ნიშნავდა. ქვეყნის ბედნიერებად თვლიდით იმას, რომ ძნელბედობის ჟამს განგებამ საქართველოს სულიერ მოძღვრად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მოუვლინა.

გიყვარდათ გამოთქმა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“ სწორედ ამის გამო იყო, რომ გენიალური მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ჩვენს სიმბოლოდ ვაქციეთ, „პატივდების სიგელზე“ გამოვკვეთეთ, იმ სიგელზე, რომელსაც ჩვენი საერთო ხელმოწერით გადავცემდით და გადავცემთ კიდეც მომავალში გულანთებულ ქართველებს, საქართველოს ნამდვილ მეგობრებს, რამეთუ, როგორც თქვენ ბრძანეთ: „პატივდების სიგელი“ - ეს არის საქართველოსათვის ბრძოლის განწყობის აღიარება და მოქმედების მანიფესტით შეკავშირება იმ ადამიანებისა, რომელთაც გააცნობიერეს რომ ქვეყანა, რომელიც ქრისტეშობამდე და მის შემდგომ აღიარებდა ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტს, ქვეყანა, რომელიც ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრობდა პირველივე საუკუნიდან - არ შეიძლება 21-ე საუკუნეში უარყოფდეს საკუთარ ფასეულობებს და აფეტიშებდეს სხვისას.

ეპოქალური ნათქვამია.

თქვენ მიგაჩნდათ, რომ „მოქმედების მანიფესტს“ უნდა შემოუერთდეს სრულიად საქართველო, ჩვენი ს ამშობლოს ყველა მეგობარი, რომ მხოლოდ ასეთ ერთობას შეუძლია დაასრულოს ქვეყნის გარედან მართვა, დაიბრუნოს საქართველო, გახადოს იგი რეალურად დამოუკიდებელი და დემოკრატიული, გვაცხოვროს სულიერებითა და სიყვარულით.

ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. ასეც იქნება!

მადლობა! გემშვიდობებით!

„ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით

ანზორ ერქომაიშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რომან რურუა, რამაზ ჟურაშვილი, გიგა ბათიაშვილი, გიორგი კანდელაკი, რამაზ ლომინაძე, ოთარ შამათავა, ავთანდილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თემურ შაშიაშვილი, ემილ მიქაია, გოგი ჯაოშვილი, ოლეგ ნიკოლეიშვილი, ჯონი ჯანელიძე, როლანდ კილაძე, ალექსი კობაიძე, გიგა მჭედლიშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, მურად ანჯაფარიძე, ნიაზ ბოლქვაძე, ლევან ნინიძე, გიორგი სიგუა, ლეონ ფირცხალავა

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

`respublikelebi~ specialurad gamoityues parlamentidan, rom cota mogvianebiT kai mama-papuri Witlayi amoartyan da TavianT nulovan reitingze mosvan?

როცა რესპუბლიკელი თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაბარგების შესახებ გახდა ცნობილი, რამაც საზოგადოება სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, გააოგნა, ერთი ჩემი საკმაოდ ჭკუასაკითხავი ახლობელი დამიკავშირდა და ასეთი რამ მითხრა: **რა აჟიოტაჟი ატეხეთ, ვერ ხვდებით, რომ ეს ყველაფერი რესპუბლიკელების „გასაუვნებლად" გაკეთდა,** პარლამენტში მათი ფრაქცია ნელი მოქმედების ნაღმივითაა, როდის უგანებენ კოალიციას არავინ იცის, მთავრობიდან კი მათი მოცილება ნებისმიერ დროს, უმტკივნეულოდ შეიძლებაო.

ჩემს ოპტიმისტ ახლობელს არ შევკამათებივარ, თუმცა გუნებაში გავიფიქრე, ღმერთმა კეთილი იმედი ნუ მოგიშალოს-თქო. სხვათა შორის, იგივე ვერსია სხვებისგანაც მოვისმინე, თუმცა რა აძლევს ამ ხალხს ამგვარი მოსაზრების საფუძველს, ვერაფერს მოგახსენებთ.

რა დამსახურებებისთვის დაასაჩუქრეს რესპუბლიკელები ასე გულუხვად, ეს მხოლოდ ამერიკელებმა იციან, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ეტყობა, ისინი თინა ხიდაშელის მიერ საერთაშორისო არენაზე გაკეთებულმა განცხადებებმა „მოხიბლა" და შესაბამისმა საჩუქარმაც არ დააყოვნა.

სიმართლე გითხრათ, ღიმილის (ოღონდ სიმწრის) მომგვრელად მეჩვენება, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსის, ისე ე.წ. ექსპერტ-ანალიტიკოსების, ე.წ. არასამთავრობოებისა და გარკვეული მედიასაშუალებების წარმომადგენელთა გულის ფრიალამდე მისული, „ბედნიერი" მოლოდინი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი დღეს თუ არა ხვალ გადადგება, ან გადააყენებენ. ისეთი ხმაურია ატეხილი, გეგონება ამ ერთი ადამიანის გადადგომა-გადაყენებაშია ქვეყნის ხსნა.

აბა რა, ღარიბაშვილი რომ აღარ იქნება მთავრობის მეთაური, ლარისა და დოლარის გაცვლითი კურსი ერთი-ერთზე დასტაბილურდება. ფაბრიკა-ქარხნები აგუგუნდება და სოფლის მეურნეობაც არნახულად აღორძინდება. „მეფინაცვალს" ანუ ნორლანდსა და ბიძინა ივანიშვილს თურმე დავით უსუფაშვილის შესაძლო გაპრემიერებაზეც უსაუბრიათ, იმ ცნობილი შეხვედრის დროს, ისე საინტერესოა, ეს „ბედნიერი" მომავალი ბატონი უსუფაშვილის ხელში გველოდება თუ ამერიკელთა ხელდასმული სხვა კანდიდატი აგვიხდენს ოცნებას?

ახლა კი კონკრეტულად იმ საფრთხის შესახებ, რომლის ალბათობასაც საქმეში ჩახედული ხალხი არ გამორიცხავს. გავიხსენოთ, როგორ ცდილობდნენ ნაციონალები უკრაინის ტრაგიკულ მოვლენებში საქართველოს ჩათრევას. ირაკლი ღარიბაშვილს და სხვებსაც არაერთხელ განუცხადებიათ, ხელისუფლების სათავეში სააკაშვილი და მისი გუნდი რომ ყოფილიყვნენ, საქართველოც ომის ქარცეცხლში იქნებოდა გახვეული.

„რესპუბლიკელები" და „ნაცები" ერთმანეთს ბიძაშვილ-მამიდაშვილებად რომ ერგებიან, საყოველთაოდაა ცნობილი.

ასე რომ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა დაახლოებით იგივეა ოქრუაშვილი ან კეზერაშვილი მოაბრუნო უკან.

ეს, დიდი ალბათობით, ოკეანის გაღმიდან დაგეგმილი საკადრო ცვლილება შემთხვევით საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის" გახსნას ხომ არ ემსახურება, რომელსაც მანამდე ვერაფრით მიაღწიეს? **რუსების გასაღიზიანებელი განცხადებების კეთება თინა ხიდაშელს ნამდვილად არ გაუჭირდება.** შემდგომში რა შედეგიც მოყვება რუსების გამოწვევას, პასუხისმგებლობას ვინ აიღებს, მინისტრი, „მეფისნაცვალი" თუ მათი პატრონები? საკითხავი, აი, ეს არის.

თუმცა ჩემი ახლობელი მარწმუნებს, რომ საქმე აქამდე არ მივა.

მისი თქმით, ძალაუფლებას და თანამდებობებს დახარბებული „რესპუბლიკელები" სპეციალურად გამოიტყუეს პარლამენტიდან, რომ ცოტა მოგვიანებით ქალბატონ თინას „პაგონები" დააძრონ, სხვა „რესპებსაც" კაი მამა-პაპური ჭიტლაყი ამოარტყან და თავიანთ ნულოვან რეიტინგზე მოსვან.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სოსო მანჯავიძე:

პირდაპირ ვამბობ, ეს პროცესები დავით უსუფაშვილის ინსპირირებული იყო! „რესპუბლიკელებმა“ მცოცავი გადატრიალება მოაწყვეს!

„საერთო გაზეთი“ საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატს სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.

— ბატონო სოსო, პრემიერ მინისტრმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაასახელა, ყველასთვის მოულოდნელად თავდაცვის მინისტრის პოსტი რესპუბლიკელ თინა ხიდაშელს ერგო, როგორ ფიქრობთ, რა მოხდა რეალურად, რატომ გააკეთა ღარიბაშვილმა არჩევანი რესპუბლიკურ პარტიის წარმომადგენლებზე?

— კარგი კითხვაა, მოდით, საუბარი თავად პროცესის შინაარსით დავიწყოთ. მოგეხსენებათ, პროცესი როგორც განვითარდა - სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტი ბატონ ლევან ყიფიანს დაუპირისპირდა და მათი შერიგება აბსოლიტურად შეუძლებელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადა თავად ირაკლი ღარიბაშვილი. გარდა ამისა, როგორც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, თურმე ისიც ბევრს ეცადა, მაგრამ უშედეგოდ. დიახ, ჰოი საოცრებავ, ბატონ ბიძინას ამჯერად არ დაუჯერეს. ასეთია ვერსია ყოველ შემთხვევაში. ეს ერთი, მეორე, უეცრად ბატონ ხოკრიშვილს მოენატრა ოჯახი და პირადი სურვილითა და მოსაზრებებით დატოვა თანამდებობა და გაემგზავრა გერმანიაში, უფრო სწორედ, აპირებს გამგზავრებას. ნუ, ხოკრიშვილმა, სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის წარმომადგენლებმა და ასევე ლევან ყიფიანმაც ბრწყინვალედ იცოდნენ, რომ მათი ასეთი მოქმედება მთავრობის ჩამოშლას გამოიწვევდა. მანამდე შავლიაშვილი გახდა ავად, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა და საღსალამათი ადამიანია. შავლიაშვილის ქვეშ დიდი ხანია, რაც ორმო ითხრებოდა და ის იძულებული გახდა, რომ იმ ორმოში ჩამხტარიყო. დიახ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ჩახტა კიდეც ამ ორმოში და ეს ჯანმრთელობის მდგომარეობით დაასაბუთა. საერთოდაც ორმოში, რომ ჩავარდები, შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა, ბუნებრივია, უარესდება. რიგი ექსპერტებისა ამ ფონზე, ამ მოვლენებში მიზეზშედეგობრივ კავშირს და გარკვეული ძალების მიზანმიმართულ მოქმედებას ვერ ხედავს, რაც ძალიან სამწუხაროა. ახლა მე გეტყვით რა მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს, დიახ, გეტყვით რა მოხდა რეალურად. პირდაპირ ვამბობ, სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტსა და ლევან ყიფიანს შორის დაპირისპირება დავით უსუფაშვილის ინსპირირებული იყო. უსუფაშვილის იქით აღარ მივდივარ, იმიტომ, რომ არ მაქვს ამის, ასე ვთქვათ, კონკრეტული ინფორმაცია. აი, ეს ყოვლად აუხსნელი სიჯიუტე და შეურიგებლობა განვითარდა იმ საფრთხისა და რეალობის წინაშე, რომ მთავრობა ჩამოიშლებოდა, თანაც ჩამოიშლებოდა იმ ვითარებაში, რომელიც ახლა გვაქვს - აგერ, ლარი უფასურდება, შეხედეთ ეკონომიკა რა დღეშია, საკაშვილი ბაქოში მოლაპარაკებებს საქართველოში დაბრუნების თაობაზე ღიად აწარმოებს და აზერბაიჯანის მხარდაჭერას ეძებს ამაში, აკეთებს განცხადებებს, რომ საქართველოს პრემიერ მინისტრი შესაძლოა აზერბაიჯანის მოქალაქე იყოს და ა.შ. და ა.შ. და აი, ამ ფონზე ხდება ეს ერთი შეხედვით აუხსნელი მოვლენები. და ჰოი, საოცრებავ, ამავდროულად ყველამ იცის ახალი კონსტიტუციის მიხედვით რა უფლებამოსილებები ენიჭება იმ პრეზიდენტს, რომლის სასახლიდან გაძევება — არგაძევებაზე იყო ლაპარაკი, ანუ დაპირისპირება იყო უკიდურესი. დიახ, ამ ფონზე მოხდა სწორედ ეს მოვლენები, მთავრობა ჩამოიშალა და პრეზიდენტს მიენიჭა ის უფლებამოსილება, რომ მას შეუძლია არ წარადგინოს მთავრობა, ორიოდე დღის წინ ასეც მოიქცა ხომ, ვნახოთ რას იზამს. მას ასევე შეუძლია საერთოდ შეეწინააღმდეგოს პრემიერ მინისტრის კანდიდატურასაც, ანუ ჩააგდოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი არ წარადგენს მთავრობას, მთავრობის დამტკიცებას კონსტიტუციური უმრავლესობა სჭირდება, რომელსაც, ბუნებრივია, ეს მთავრობა ვერ მიიღებს, რადგან კონსტიტუციური უმრავლესობა იქ არ არსებობს, მოკანონის ავტორი. თინა ხიდაშელის საქმენი საგმირონიც ვიცით, განცხადებებიც გვახსოვს, აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ და ა.შ. იგივე ზაქარეიშვილის განცხადებებიც. მოკლედ, სახეზე გვაქვს ამ პარტიის, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში ყოფნა გადამწყვეტ თანამდებობებზე, როგორც აღმასრულებელ და საკანონმდებლო, ისე საპრეზიდენტო ხელისუფლებაში. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს არასამთავრობო სექტორი, ელექტრონული მედია, ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია - თავისუფალი დემოკრატები, ესენი ყველანი მათთან არიან. და **რესპუბლიკელები, რომ იდეური მამები არიან ნაციონალების, ამაზე ხომ არაერთგზის გვითქვამს და ისიც გვითქვამს, რომ თავისუფლების ინსტიტუტი არის მათი კონცეპტუალური, ასე ვთქვათ, ცენტრი**. ასე რომ, სიტუაცია ნათელია.

— კი მაგრამ, ღარიბაშვილსა და ძალოვან ბლოკს არ ჰქონდათ ინფორმაცია მათ გეგმებზე, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თუ მართლაც რესპუბლიკელების ინსპირირებულია, თუ ეძინათ? ...ღარიბაშვილმა თავად წარადგინა ხიდაშელი მინისტრის პოსტზე, ვინ აიძულა?

— ღარიბაშვილსა და ძალოვნებს ეძინათ თუ არ ეძინათ, ეს მეორე საკითხია. ამოიღეთ ჩვენი ინტერვიუები, ნახეთ მცოცავი გადატრიალების შესახებ, რასაც ვაცხადებდი, თანაც ჯერ კიდევ როდის, ეს ლიბერალური რევანშია. დიახ, ე.წ. ლიბერალური ძალების რევანში დამთავრდა საქართველოში ანუ მცოცავი გადატრიალება უკვე შესრულდა და მე ამაზე გამუდმებით ვლაპარაკობდი. დიახ, უბრალოდ, ეს ერთ-ერთი ეტაპია და მივიღეთ კიდეც ეს ეტაპი. ახლა ეძინათ თუ არ ეძინათ, ეს უკვე მათ სინდისზე იყოს, და მათ გამჭრიახობასა და უნარზე დამოუკიდებლად მოქმედებისა. როგორც ჩანს, არ აქვთ დამოუკიდებლად მოქმედების რესურსი, არც მორალური და არც ინტელექტუალური და მივიღეთ ის შედეგი, რომელიც მივიღეთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჯანყარაშვილის თემა სპეციალურად იყო აგორებული, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის. ჯანყარაშვილს არაფერი დაუმტკიცდა, რაშიც მას ბრალს სდებდნენ. ვიმეორებ, არც ერთი ბრალდება მის მიმართ დამტკიცებული არ არის. **მართალია გადაცდომებს არ გამოვრიცხავ, მაგრამ ასევე გამოვრიცხავ ჯანყარაშვილის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რაშიც ბრალს სდებენ, იმიტომ, რომ კარგად ვიცნობ ამ ადამიანს და დარწმუნებული ვარ, რომ ის არაფერს ისეთს არ გააკეთებს, რასაც ამბობდნენ სხვადასხვა უპასუხისმგებლო ადამიანები.** დიახ, შეარჩიეს ჯანყარაშვილი, ჯერ ერთი გვარი აქვს ისეთი, რაღაცნაირად კაცურად ჟღერს, სახელიც, ზვიადი ჰქვია, ასევე მას ბევრი ლაპარაკი და ტელეეკრანებზე გამოჩენა არ უყვარს და მისგან შექმნეს რაღაც ისეთი საფრთხის შემცველი რუხი კარდინალის ხატი, რაც ამ კაცს აბსოლიტურად არ შეესაბამება.

ის რადიკალურად დაპირისპირებული იყო ნაციონალურ მოძრაობასთან და მის კადრებთან, სწორედ მათთვის წარმოეგზავნა ეს ინფორმაცია, ეს ინფორმაცია ეგზავნებოდა ნაციონალურ მოძრაობის დეპუტატებს, ეგზავნებოდა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ეგზავნებოდა ბატონ ალეკო ელისაშვილს, ეგზავნებოდა ბატონ ბაჩუკი ბერაიას

ადგენდა ყველაზე დიდ საფრთხეს, ამიტომ მიუსიეს თავისი გოშია საინფორმაციო საშუალებები. აი, ეს იყო სინამდვილეში ჯანყარაშვილის ისტორია. და ძალიან ვთხოვ, ვინც გარკვეული არ არის ამ პოლიტიკაში, თავი შეიკავოს ხოლმე ამ ადამიანის ლანძღვისგან. ძალიან კარგს შვრება ზვიადი, რომ სარჩელი აქვს შეტანილი, ვიმეორებ, ეს დაუსაბუთებელი ბრალდებები უნდა შეწყდეს. აი, ამას უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან და ხშირ შემთხვევაში ცილისწამების ავტორებიც. ასე რომ, კარგად გაითვალისწინონ ეს. მთავარ თემას დავუბრუნდეთ, გასაგებია ახლა, რომ რესპუბლიკელები თავის გავლენას იყენებენ იმისთვის, რომ ვაჭრობენ იმით, რომ პრეზიდენტს ახლა ისინი მოელაპარაკებიან, ვითომდა იმ მიზეზით, რომ პრეზიდენტმა არ დაძაბოს სიტუაცია, სინამდვილეში ხომ გასაგებია, რომ პრეზიდენტი და ისინი კომუნიკაციაში სულ არიან და ეს ყველაფერი შეთანხმებული ვარიანტია. რეალურად ისინი არავისთან ვაჭრობენ, წინასწარ დაგეგმილია ეს ყველაფერი, მოქმედებენ პოლიტიკურად, ფარული ინტრიგებით, როგორც მათ ახასიათებთ.

— სხვათა შორის, უკრაინულმა გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია უსუფაშვილ-ხიდაშელის და სააკაშვილის შეხვედრის თაობაზე, რასაც ხიდაშელმა ბოდვა უწოდა...ხედავთ ამ ინფორმაციასა და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს შორის რაიმე კავშირს?

— შეხვდნენ თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ რას ვხედავთ, ჩვენ ვხედავთ იმას, რომ დავით უსუფაშვილმა გაუგზავნა სააკაშვილს მისალოცი ბარათი დაბადების დღეზე, დავით უსუფაშვილი იძახდა, რომ კოაბიტაცია არის ხალხის დაკვეთა, ასევე ნაცმოძრაობის გადარჩენა არის ქართული დემოკრატიის გამოცდაო. მე შეგახსენებთ, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების უკანონოდ მითვისება გავაპროტესტეთ (2012 წელს საპრეზიდენტო ხელისუფლება მოქმედმა პრეზიდენტმა უკანონოდ, რომ გაიგრძელა) და ამაზე საკონსტიტუციო სარჩელი შევიტანეთ, რათა სააკაშვილი ჩამოგვეცილებინა საპრეზიდენტო ხელისუფლებიდან, ვინ შეგვებრძოლა ? დიახ, ვინ ებრძოდა ამას ? რა თქმა უნდა, რესპუბლიკური პარტია. მაშინ ჩვენ პარლამენტი დაგვიპირისპირდა რესპუბლიკური პარტიის სახით და სააკაშვილს ჩაამთავრებინეს ხელისუფლებაში ყოფნა, შემდეგ კი, წითელი ხალიჩით გაუშვეს საზღვარგარეთ. და მერე ბებიამისის ჰონდისა და პალტოების გამო აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. ეს ახლა ისეთი თეთრი ძაფითაა ნაკერი, ეს პოლიტიკური გაფორმება მოლაპარაკებისა, რომლის შედეგებიც კარგად ჩანს, რომ რაღაა სათქმელი ?! .ჩვენ დავკარგეთ ღირსება, თავმოყვარეობა, პრაქტიკულად ყველაფერი. ადამიანმა 2008 წელს ომი სრულიად შეგნებულად, ყველანაირი კანონის დარღვევით დაიწყო, გავიხსენოთ, როგორ მოქმედებდა ქვეყნის მთავრობა და რა შედეგები დადგა, რამდენი ადამიანი დაიღუპა და ვითომც არაფერი, არადა პირველ რიგში, ამის გამო უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და დაპატიმრებულიყო სააკაშვილი, ამის მაგივრად კი, ჩვენ ის გავაცილეთ საზღვარგარეთ და ბებიამისის ჰონდის გულისთვის ვეკამათებით. და ჩვენ ახლა საკუთარ თავს პატივს ვცემთ, ჩვენ, როგორც ქვეყანას, სახელმწიფოს და ერს ეს არ გაგვიკეთებია და ახლა რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ, შეხვდა თუ არ შეხვდა იმაზე ? შეხვდებოდა, აბა, რას იზამდა და თუ არ შეხვდებოდა რა შეხვედრაზე უარესი არ არის, ის, რასაც ვლაპარაკობთ ? ამ ადამიანებს ხალხის მოსატყუებლად სჭირდებათ ხოლმე ეს რიტორიკა, თორემ, ფაქტობრივად, როგორც მოქმედებენ ჩანს, რომ ერთი გუნდია. დიახ, ერთი იდეოლოგიის ხალხია, ერთი ძალები მფარველობენ და ახლა შეხვდა თუ არ შეხვდა, რა მნიშვნელობა აქვს, რა, ტელეფონით ვერ დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ?! შეიძლება მოენატრათ კიდეც ერთმანეთი და შეხვდნენ ამ მონატრების გამო, რადგან სულ ერთად იყვნენ, ვინ იცის... ახლა საინტერესოა, როცა რესპუბლიკური პარტია გადამწყვეტი ძალა არის საქართველოში, ხელისუფლებაში არის, რას უნდა ველოდოთ ჩვენ. ესენი, დანარჩენები რესპუბლიკური პარტიის გადაწყვეტილებებს აფორმებენ. დიახ, კონცეპტუალურად რესპები მართავენ ამ ქვეყანას, შესაბამისად, ჩვენ რა გვექნება, გვექნება ის, რომ ვერ მოვახერხებთ ქვეყნის ამ ეკონომიკური კოლაფსიდან გამოყვანას, ვერ მოვახერხებთ ქვეყნის ამ გეოპოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანას და იქნება ასეთი გამოუვალი, ჩიხური სიტუაცია და ქვეყანა ნელ-ნელა დაიცლება ქართველებისგან. აგერ, საქსტატის ახალი ინფორმაცია დაიდო, 3 მილიონ 636 ადამიანით არის შემცირებული 2013 წლის შემდეგ ქვეყნის მოსახლეობა 700 000-ით შემცირებული და ახლა ჩვენ რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ!

— საინტერესოა, სხვები რომ ჭრიან ფულს სამინისტროებსა და დეპარტამენტებში, რატომ არ ამხელენ მათ, რა არ იციან ამის შესახებ? ანდაც ნაცებმა, რომ უკანონოდ მითვისებული მილიარდები წაიღეს, ერთი კაპიკი მაინც ვინმეს დააბრუნებინეს?

— რას ჰქვია არ იციან, ყველაფერი მშვენივრად იციან. სახელმწიფო სტრუქტურებში ნაციონალებით არის სავსე. ვინმემ რამეზე აგო საერთოდ პასუხი დღემდე? კომიკურია საერთოდ ეს ყველაფერი. სასაცილოა ეთერში სხედან ხოლმე ერთმანეთთან დაპირისპირებული ნაცები და ოცნების წარმომადგენლები და ოცნება ეძახის შე მწამებელო, შე კაცისმკვლელოო და ამ დროს ორივე კანონმდებელია და მეორე დღეს ისევ ერთად სხედან და კანონებზე მუშაობენ. როგორც იტყოდა ცხონებული ჰამლეტი, რაღაც დალპა დანიის სამეფოში. ასე გაგრძელება, რომ არ შეიძლება მე მგონი, ამას ყველა ხედავს და ვინც ვერ ხედავს, ის ბრმა არის.

— ხიდაშელს რომ დანიშნავ თავდაცვის მინისტრად ხომ გკითხავენ ადამიანები ჩვენ ამ 2 %-იანი პარტიისთვის არ მიგვიცია ხმა და რატომ დანიშნეთო?

— პოლიტიკური გვამებით გაივსო ქვეყანა. პოლიტიკური სასაფლაოს შექმნა თუ გვინდოდა, წინასწარ გვეთქვა ამის შესახებ. ჩვენ გვინდა საქართველოს გამოყვანა კრიზისიდან და ჩვენი განვითარება და ახლა ჩვენ მივიღეთ სიტუაცია, როცა კატასტროფა გვაქვს, საერთოდ სახელმწიფო აღარ გვაქვს. სახელმწიფო რატომ აღარ გვაქვს? ახლავე აგიხსნით რამ გამოიწვია ეს. პირველი, როცა სააკაშვილმა დემეტრაშვილს დაავალა კონსტიტუციის შექმნა, ეს სტრატეგიული ჩანაფიქრი იყო. ეს არის ქართული სახელმწიფოს ნგრევის კონსტიტუცია. მასში ჩადებულია იმგვარი ნაღმები, რომლებიც აუცილებლად გამოიწვევს და გამოიწვია კიდეც ქართული სახელმწიფოს განადგურება. იმიტომ, რომ პირველ რიგში, ჩვენ ვიმყოფებით რეგიონში, რომელშიც ავტორიტარული რეჟიმებია გარშემო, ჩვენ კი ამ დროს არ გვყავს კონსტიტუციურად უფლებამოსილი პირი, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობა. საერთოდ სახელმწიფო რას ნიშნავს? აი, ჩამოვიდა ლუკაშენკო და არ ვიცით, ვის უნდა ელაპარაკოს?! კითხვას ვსვამ, ვის დაელაპარაკება დავუშვათ პუტინი, ვის დაელაპარაკება ალიევი, ალიევი ისევ სააკაშვილს ელაპარაკება. რატომ? იმიტომ, რომ ის 9 წლის განმავლობაში ელაპარაკებოდა ადამიანს ცუდად, თავის ქვეყნისთვის საზიანოდ, მაგრამ წყვეტდა პრობლემებს და ახლა, აქ ვის უნდა ელაპარაკოს? კონსტიტუციურად ჩვენ არ გვყავს უფლებამოსილი პირი, პრეზიდენტია პირველი პირია და საერთოდ არავითარი ხელისუფლება და ძალაუფლება არ აქვს, პრემიერ მინისტრია პირველი პირი და კონსტიტუციურად არ აქვს არავითარი უფლებამოსილება და ყველაფერს ათანხმებს. რა გამოდის? გამოდის, რომ ჩვენ გვაქვს ვაკუუმი იმ ვითარებაში, როცა ქვეყანა არის ასეთ ცეცხლოვან მარყუჟში გეოპოლიტიკურ ვითარების გამწვავების გამო და არაპროგნოზირებადია საერთოდ რა მოხდება ხვალ.

აგერ არის ბატონო. შედეგები და კიდევ უარესი იქნება, თუ გონს არ მოვეგებით, მაგრამ გონს ვინღა უნდა მოეგოს ხელისუფლებაში, ვინც ამდენი ხანი გონს უბნელებდა და ღუპავდა ამ ქვეყანას, ისინი მოიყვანეს და... აი, ეს არის ჩიხი. ახლა ეს რას გამოიწვევს, გავმეორდები, ეკონომიკურად, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდება ეს ყველაფერი, ცხადია. ერთადერთი გამოსავალი საქართველოსთვის არის ის, რომ ეს მონეტანისტური მიდგომები შეიცვალოს დაუშვათ, განათლებული პროტექციონიზმით, თუმცა არაფერი შეიცვლება, რადგან იდეოლოგიურად ის ხალხია, ვინც მონეტანისტურ პოლიტიკას ატარებს. აი, ასეთი ქაოტური მდგომარეობა გვაქვს. აბსოლიტური მარაზმი, რომელიც კიდევ უფრო ღრმავდება.

— სოსო, დააკონკრეტე, გამოსავალი რა არის?

— აი, ვადამდელი არჩევნები გამოსავალი, რომ არ არის ეს ზუსტად ვიცი, რადგან იგივე ძალები მოვლენ ხელისუფლებაში, იგივე პროპორციით. დიახ, ჩაერევა ნორლანდი და ასე მოხდება. ახლაც ჩაერია, ნუ, სულ ჩარეულია ეს კაცი, ასეა, ასე. ახლაც ჩაერევა, დააწერინებენ ცეესკოს იგივეს, იმ ცეესკოს, რომელიც მთლიანად რესპუბლიკელების არის, ეს სულ დამავიწყდა. ასე რომ, გამოსავალი არის ის, რომ ამ მმართველობის ეს სქემა ამოიწუროს და ეტყობა ძალიან დიდი კრიზისი უნდა მოხდეს, რომ ხალხმა გამოიღვიძოს.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

ომარ ნიშნიანიძე:

პირობას გაძლევთ, რომ ამ კითხვას თავდაცვის მომავალ მინისტრს, თინა ხიდაშელს, აუცილებლად დავუსვამ

„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატს ომარ ნიშნიანიძეს ესაუბრა.

— ბატონო ომარ, რით ხსნით იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკელების გარდა ქვეყანაში კაცი არ მოიძებნა თავდაცვის მინისტრის პოსტისთვის შესაფერისი?

— იცით, მოძებნით ალბათ, მოიძებნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში რესპუბლიკელებს ჰქონდათ გარკვეული პრეტენზიები, ითხოვდნენ მეტს, აცხადებდნენ, ჩვენ მეტს ვიმსახურებთ მოქმედ სიტუაციაში, მიმდინარე პროცესებშიო და მოხდა მათი პოზიციის გათვალისწინება და მოთხოვნის დაკმაყოფილება. აქ რაღაც დოზით იმ ფაქტმაც მოახდინა გავლენა, რომ მათ თავისუფალი დემოკრატების მსგავსად არ დატოვეს კოალიცია, დიახ, ამანაც გარკვეული როლი ითამაშა. და ამ შემთხვევაში გარკვეული დათმობაც იყო ალბათ, აი, ამიტომაც მოიძებნა ეს კანდიდატურა, თუმცა მოიძებნა რას ჰქვია, ქალბატონი თინა ამ პოსტისთვის შესაფერისი კანდიდატურაა, ის საკმაოდ შემტევია, გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე აღარაფერს ვლაპარაკობ, საკმაოდ პრინციპული ადამიანია, არ არის ცუდი კანდიდატურა და დარწმუნებული ვარ, გაართმევს თავს. ახლა, მაინც და მაინც, კარგად არ აღიქმება მისი ნათქვამი, მე არ მჭირდება პარლამენტის კენჭისყრა, მე უკვე მინისტრი ვარო, დიახ, ეს არ იწვევს კარგ ასოციაციებს ზოგადად, მაგრამ რაზ ვიზამთ, რაც არის ის არის.

— ითქვა, რომ რესპუბლიკელებმა ულტიმატუმი წაუყენეს ღარიბაშვილს - ან ხიდაშელს დანიშნავ ან კოალიციიდან გავალთო, ასეა? მოდით, გულწრფელად მითხარით, ვისი გადაწყვეტილებით მოხდა ხიდაშელის ამ პოსტზე წარდგენა, ივანიშვილის თუ ღარიბაშვილის?

— არ მგონია, რომ ულტიმატუმი ყოფილიყო...ერთი რამ დანამდვილებით ვიცი - საკმაოდ კარგი შეხედულება აქვს ბატონ ბიძინა ივანიშვილს ქალბატონი თინას მიმართ, დიახ, მაღალი შეხედულება ჰქონდა მისი ფიგურის მიმართ ყოველთვის, რაც არაერთხელ აღუნიშნავს კიდეც. პრინციპში ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა თინასადმი ირაკლი ღარიბაშვილსაც და ზოგადად გუნდსაც. გუნდში საკმაოდ კარგი განწყობაა ამ ადამიანის მიმართ, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ ამანაც იმოქმედა. მოითხოვეს რესპუბლიკელებმა მეტი და მიიღეს. ბუნებრივიც არის ეს, თუ შენ პოლიტიკური ძალა ხარ, დროთა განმავლობაში მეტს მოითხოვ ხომ? პოლიტიკური სუბიექტი ყოველთვის ცდილობს მეტი მიიღოს, მეტს მოითხოვს და მეტს მიიღებს, არა? ვიმეორებ, სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით რესპუბლიკელები ამას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, აცხადებდნენ, ჩვენ მეტი უნდა მოგვეცესო. ახლა რომ გითხრათ, ღარიბაშვილის მხრიდან ამ პოსტზე თინას წარდგენა არ იყო ჩემთვის მოულოდნელი-მეთქი, არ ვიქნები გულწრფელი. მე მქონდა იმის განცდა, რომ ახალ მინისტრებს შორის აუცილებლად იქნებოდნენ რესპუბლიკელები, მაგრამ ამ შემადგენლობით არ ველოდი. რა თქმა უნდა, ქალბატონი თინას გამინისტრება ჩემთვის იყო მოულოდნელი, თუმცა არა ისეთი, რომ ვიფიქრო შანტაჟს ან ულტიმატუმს ჰქონდა ადგილი. ვიმეორებ, მოულოდნელობის ელემენტი ახლდა ამ ფაქტს.

— არავითარი განათლება და გამოცდილება ამ სფეროში არ გააჩნია, არც აკადემია დაუმთავრებია და არც ბრძოლა მოუგია...რას მოუტანს თავდაცვას ხიდაშელის გამინისტრება?

— რატომ ფიქრობთ ასე? ჯერ ერთი, მინისტრი არის პოლიტიკური ფიგურა, იმის თქმა, რომ ქალბატონმა თინამ არ იცის ჯარი რა არის, არ იქნება სწორი, იმიტომ, რომ გარკვეული დოზით მან ეს სფერო იცის, დარწმუნებული ვარ, ამ საკითხებზე უმუშავია. რაც შეეხება ძირითადად სამხედრო საკითხებს, ამას წყვეტს გენერალური შტაბი და ის გენერალიტეტი, რომელიც იქ არის. თინა იქნება პოლიტიკური ფიგურა, რომელიც წარმოადგენს ჯარს, მის სახეს, მის განწყობას და ა.შ. ამიტომაც არ მგონია, რომ ამან შეაფერხოს ქართული ჯარის განვითარება. ქალბატონ თინას ავტორიტეტი ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც აქვს.

— და მინდია ჯანელიძეს არ ჰქონდა ავტორიტეტი ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ?

— პოლიტიკურ ავტორიტეტს თუ ვგულისხმობთ, სიმართლე გითხრათ, ახლოსაც ვერ მივა ქალბატონ თინას ავტორიტეტთან, პოლიტიკურ წონასთან. ვნახოთ, რა იქნება, ვაცადოთ, არ მგონია, რომ ცუდი შედეგი დადგეს. ერთ - ორ თვეში უკვე დაეტყობა საქმეს.

— არ გეჩვენებათ, რომ რესპუბლიკელებმა ჩაიგდეს ხელში ხელისუფლება, ასე ვთქვათ, ხაფერდოვნად გადაიბარეს და პარტია ქართული ოცნება, როგორც ასეთი აღარ არსებობს?

— რას ნიშნავს ჩაიგდეს ხელში? მოდით, ასე ნუ ვიტყვით. რესპუბლიკელები ჩვენი კოალიციის წევრები არიან და სიმართლე გითხრათ, აქ რაღაც კატასტროფულს ვერ ვხედავ, თუმცა, როგორც პარტია ქართული ოცნების წევრს ამ შემთხვევაში გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაქვს. ვსვამ კითხვას, რატომ ჩვენი წრიდან არა, ჩვენი წრიდანაც შეიძლებოდა ალბათ მოძებნილიყო ამ პოსტისთვის შესაფერისი ადამიანი. მე არ ვიცი ახლა იქნებოდა ის ასეთი პოლიტიკური წონის თუ არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ პოსტისთვის შესაფერისი იქნებოდა, და ზოგადად ჩვენი წარმოჩენა, რომ არ ხდება (ჩემს თავზე არ ვამბობ, მე არ მაქვს პრეტენზია), ეს ჩემში უკმარისობის გრძნობას იწვევს. მინდა რომ მეტად მოხდეს ჩვენი პარტიის წარმოჩენა, თუმცა ეს იმის ბრალიც არის, რომ ამდენ ხანს ძლიერ პარტიად ვერ ჩამოვყალიბდით, ახლა ვფაფხურობთ რაღაცას და იქნებ დავაყენოთ საშველი, ბოლოს და ბოლოს. ვნახოთ რა იქნება, თუმცა ტემპით, არც ახლა ვარ, მაინც და მაინც, კმაყოფილი. ჩვენი პირობა ასეთი იყო - პარტია უნდა ჩამოყალიბდეს ივლისამდე და ივლისამდე კი, ორი თვეც აღარ არის დარჩენილი. დაველოდოთ...

— კიდევ გჯერათ, რომ პარტია ქართული ოცნება აშენდება ? მახსოვს მითხარით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ გავჩერდებიო, რას აპირებთ?

— იცი, ქეთი, არ მინდა, რომ არ დავიჯერო, ეს რომ დავიჯერო, მაშინ გამოდის, რომ მართლა ჩაუბარებია ყველაფერი ერთ სუბიექტს ერთი პოლიტიკური ძალისთვის. ამას დრო გვიჩვენებს, სულ რაღაც თვე ნახევარი. ის გეგმები, რაც გვაქვს თუ განხორციელდა, მაშინ დამერწმუნეთ, საქართველოს მომავალი ზოგადად ამ პარტიისაა. ამ პარტიამ აიღო მიმართულება, რასაც ჰქვია ჩრდილოევროპული, და ეს არის არა მარტო გერმანია, არამედ დანია და სკანდინავიის ქვეყნები და ეს არის სოციალურ-დემოკრატიული კურსი, რაც ჩვენი ქვეყნის გადარჩენად მიმაჩნია. ამიტომაც მომავალი ამ პარტიას აქვს, ვნახოთ, რა იქნება. მე არ მინდა ამ წუთში საყვედურებით ავავსო ხელმძღვანელობა, გამოჩნდება ყველაფერი. თუ არაფერი შესრულდა, რაც დაგეგმილია ივლისის ბოლომდე, მაშინაც კი არ ღირს ხელის ჩაქნევა, მაგრამ მაშინ სხვანაირად, სხვა ფორმით უნდა ვიხმაუროთ, მე ასე ვფიქრობ.

— ვნახოთ, ვნახოთ...დამაინც, ასეთი რა თაფლი სცხია ამ თინა ხიდაშელს, რომ ამერიკელებმა მისი კანდიდატურა მოითხოვეს, არ მითხრათ ახლა, რომ ამერიკელებთან არ იყო შეთანხმებულიო...

— არა, არც გეტყვით, ალბათ, იყო კიდეც შეთანხმებული. დარწმუნებული ვარ, საკადრო საკითხების დიდი ნაწილი თანხმდება ამერიკელებთან. ისინი არ წყვეტენ, მაგრამ ალბათ, მათთან თანხმდება. ვიმეორებ, არ მგონია, მაგრამ ის, რომ შეთანხმებული იყო, არ არის გამორიცხული.

— დასასრულ, როგორც მინიმუმ უხერხულობას არ გიქმნით ის ფაქტი, რომ ქალი რომელიც გახდა თავდაცვის მინისტრი აცხადებს, აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავო?!

— დიახ, სიმართლე გითხრათ, ეს გარკვეულ უხერხულობას გვიქმნის, მაგრამ ამაში რა იგულისხმა ქალბატონმა თინამ, რა კონტექსტში განაცხადა ეს, მე მაგალითად არ ვიცი. და როდესაც მოსმენა გვექნება, მე მას დამერწმუნეთ გულწრფელად გეუბნებით, ზუსტად ამ კითხვას დავუსვამ. დიახ, მე ვაპირებ ვკითხო რა იგულისხმა და განიხილავს თუ არა და როგორ განიხილავს აფხაზეთს საქართველოს ნაწილად. პირობას გაძლევთ, რომ ამ კითხვას თავდაცვის მომავალ მინისტრს, თინა ხიდაშელს, აუცილებლად დავუსვამ.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

თემურ მირანაშვილი:

რესპუბლიკელები ყველაფერს გააკეთებენ ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციისათვის

მიმდინარე პოლიტიკურ პროცეზებზე ვესაუბრებით ბატონ თემურ მირიანაშვილს.

— ბატონო თემურ, როგორც ვხედავთ, რესპუბლიკური პარტია სერიოზულად დომინირებს დღევანდელი ხელისუფლების წამყვან პოზიციებზე, როგორც გინდათ ურეიტინგო პარტია უწოდონ მას, ისინი მაინც აღწევენ გარკვეულ წარმატებებს, რით ახსნით ამას?

— უპირველესად ვიტყვი, რომ რესპუბლიკური პარტია არის ამერიკის ინტერესების გამომხატველი გუნდი, ეს თავიდანვე ასე იყო და გრძელდება უკვე მთელი 30 წელი. არავინ არ სვამს ერთ შეკითხვას, რამდენი პარტია იყო საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში? ასობით ცხადია, მათი უმეტესობა გაქრა, აღარ არსებობს, იმიტომ, რომ თანხები არ ჰქონდათ. რესპუბლიკური პარტია ყველა არჩევნებში ყველაზე დაბალი რეიტინგის მაჩვენებლებით გამოირჩევა, მაგრამ ყოველთვის იღებენ მონაწილეობას და არსებობენ. რატომ? ვინ ინახავს? მე ნამდვილად არ ვინახავ, რეიტინგი ნულს ქვემოთა აქვთ, ვის სჭირდება და რატომ? **ის სჭირდება მხოლოდ ამერიკას. მათი ყოველი გამოსვლა თუ განცხადება კეთდება მხოლოდ ამერიკის სასარგებლოდ და მეტი არაფერი — ამიტომაც აფინანსებენ მათ.** ამ პარტიას ახასიათებს უკიდურესი ანტირუსიზმი. ერთსაც ვიტყოდი, ამერიკელებს ნამდვილად შეუძლიათ სრულიად უნიჭო პოლიტიკოსს ან პარტიას გაუკეთონ კარგი პიარი — ეს ფაქტია. ამიტომ ამ პარტიას ისინი ინტელექტუალთა პარტიად მოიხსენიებდნენ და ხალხსაც აჩვევდნენ ამ აზრს. **სინამდვილეში კი რესპუბლიკელებზე უფრო ბრიყვი კადრებით დაკომპლექტებული პარტია წარმოუდგენელია.** ინტელექტუალობის ნიშანი ის არ გახლავთ, რომ ადამიანმა გაბღენძილი იაროს, მოდი ვთქვათ, რა შეუქმნიათ ამ ქვეყანაზე?

— თქვენ ამ პარტიის ოპონენტი ადრეც იყავით...

— დიახ, ჯერ კიდევ 1992 წელს ვამხილე მე ისინი, მაშინ მაგათ არავინ არ აკრიტიკებდა, თუმცა ისინი ყოველთვის მოღალატური საქციელით გამოირჩეოდნენ. **ჯერ მარტო ლევან ბერძენიშვილი 2000 წელს ვამხილე და დავამტკიცე, რომ ის არის მოღალატე, გამყიდველი, ჩამშვები და ნაძირალა და ეს დავამტკიცე ფაქტებით.** ასეთი ამ პარტიაში ბევრია. ამიტომ ეს პარტია თავისი წევრებით ძალიან საშიშია ქართული პოლიტიკისთვის — ეს ფაქტია! ისინი აბსოლუტურად პროამერიკულ ძალას წარმოადგენენ და ყველაფერზე წამსვლელნი არიან.

— თინა ხიდაშელი, ქალი მინისტრი თავდაცვის სამინისტროში რაში სჭირდებოდათ ამ ეტაპზე, როგორ გგონიათ?

— რაში სჭირდებოდათ სააკაშვილი პრეზიდენტად? ახლა ამერიკელებს თავდაცვის სფეროს კონტროლი სჭირდებათ ცხადია, დღევანდელი ხელისუფლება კი ვერ უმკლავდება ჯერჯერობით ამ გავლენას.

— რა გამოსავალია ასეთ შემთხვევაში?

— როდესაც მე ვწერდი თავის დროზე და ვამხელდი რესპუბლიკურ პარტიას 30 წლის წინ, ხალხი მათ ჯერ კიდევ არ იცნობდა, ახლა უკვე სხვა დროა, ხალხი ყველაფერში გარკვეულია, ყველას ეზიზღება ეგ პარტია მარტო თავად მოსწონთ თავისი თავი — ეს უკვე კარგია, ხალხი აღარ ტყუვდება. როდესაც ამბობენ, რომ ამერიკის ელჩი ერევა ჩვენს შინაურ პოლიტიკაში და მისი მითითებებით ინიშნებიან აქ თანამდებობებზე პიროვნებები, ეს შეიძლება საქართველოსთვის ცუდია, მაგრამ უარესია თავად ამერიკისთვის — მათ მთელ ერს შეაზიზღეს თავი და ბევრ სხვა ქვეყანასაც. როდესაც რესპუბლიკელები ინიშნებიან თანამდებობებზე, ამით ამერიკის ელჩი სააკაშვილს უქმნის აქ ნოყიერ ნიადაგს, თუმცა ამაოდ. ხალხი ბრძენია და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ამჯერად, მათ დიდი გამოცდილება შეიძინეს. ამერიკის ასეთი „გაჯეჯილება" საქართველოში, იმას მოასწავებს, რომ პრორუსული განწყობილება უფრო გაიზრდება, ამერიკის საქციელი ამ შემთხვევაში კონტრპროდუქტიული აღმოჩნდება. რუსეთთან ერთად ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ვიცხოვრეთ და ამერიკელებზე უფრო ნაძირალები ისინი არ ყოფილან. ამ საუკუნის დასაწყისში ამერიკას ძალიან მაღალი რეიტინგი ჰქონდა მსოფლიოშიც და საქართველოშიც. სააკაშვილის გაპრეზიდენტებით და შემდგომში მისი ქმედებებით, ამერიკის სურვილები ნათელი გახდა ყველასთვის, ამიტომ დღეს მათი რეიტინგი ნულის ტოლია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოში, ვინაიდან მათ ქმედებებში მათი სურვილები გაცხადდა.

— მინისტრების გადაყენება პოლიტიკურ ქაოსს ხომ არ გამოიწვევს იმ ფონზე, როცა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი სახეზეა...

— ვფიქრობ არა, იმიტომ, რომ ამ რთულ სიტუაციას გაუმკლავდებიან, იმასაც დავძენდი, რომ **რესპუბლიკელები** ყველაფერს გააკეთებენ პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის, ამერიკა მათ ამისკენ უბიძგებს.

— პრეზიდენტი მარგველაშვილი რა პოზიციას დაიკავებს ასეთ შემთხვევაში?

— მას პოზიცია საერთოდ არ გააჩნია, სრული არარაობაა, ოთხი წელი როგორმე გაძლებს.

— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე რას ფიქრობთ, მოსალოდნელია ვადამდელი არჩევნების ჩატარება?

— ვფიქრობ, არ არის მოსალოდნელი იმიტომ, რომ ისედაც ცოტა დრო დარჩა, მის შემოკლებას აზრი არა აქვს.

— მომავალ არჩევნებში ვის მოიაზრებთ პარლამენტში, იქნება იქ ოპოზიცია ფართო სპექტრით წარმოდგენილი, როგორც სურთ მათ ეს დღეს?

— მომავალი პარლამენტი ასე წარმომიდგენია: „ოცნება", ალბათ, დაიშლება, ივანიშვილის პარტია იქნება ცალკე, ნინო ბურჯანაძის პარტია იქნება სერიოზული რაოდენობით წარმოდგენილი.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200

რევანშისტები ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

სამთავრობო ცვლილებები საზოგადოებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ ასეთ რადიკალურ ცვლილებებს ბევრი, ალბათ, არც ელოდა.

კრიზისი კოალიციაში თავიდანვე შეიმჩნეოდა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გათვალისწინებით, არავინ ფიქრობდა, რომ კოალიციაში რღვევა ასეთი თვალნათელი გახდებოდა, მაგრამ კრიზისი უკვე სახეზეა. სულ უფრო და უფრო ხშირად ისმის პრემიერის შეცვლის საკითხი.

სამთავრობო გუნდში ცვლილებების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს ჩვენი რესპონდენტები გაგვაცნობენ:

უფლებადამცველი **გიორგი ფარესიშვილი:**

— ირაკლი ღარიბაშვილი ბოლომდე დამოუკიდებლად ვერ მართავდა პროცესებს. იქედან გამომდინარე, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, ვინც აანალიზებს პროცესებს, ხვდება, რომ პოლიტიკური პროცესების მმართველი არის ბატონი ბიძინა ივანიშვილი.

გიორგი ფარესიშვილი

ყოველივე ამას ვუკავშირებ ერთგვარ შურისძიებას ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ.

მან შს მინისტრობის პერიოდში საკმაოდ მკვეთრი და სამართლიანი ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, მოახდინა გელა ხვედელიძის განეიტრალება, რის შემდეგაც მან კონკრეტული ბინძური მეთოდებით იმოქმედა, ირაკლი ღარიბაშვილმა ის არ დაინდო და გაატარა მასზე კანონით დაკისრებული უფლებები.

გაგახსენებთ მოკლედ, ვინ იყო გელა ხვედელიძე. იგი ვალერი ხაბურძანიას შს მინისტრობის პერიოდში ქვემო ქართლის რეგიონის უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა.

ჩვენმა მკითხველმა შეიძლება არ იცის, რომ იყო ასეთი პიროვნება — ზურაბ მაისურაძე, რომელმაც ხვედელიძე და ლაშა ნაცვლიშვილი დაადანაშაულა გარკვეულ კორუფციულ გარიგებებში. კორუფცია, მოგეხსენებათ, ყვაოდა მაშინ.

ამის შემდეგ გავიდა დრო და გელა ხვედელიძე მოულოდნელად აღმოჩნდა გუბაზ სანიკიძესთან. იგი ითვლებოდა გუბაზ სანიკიძის დაცვის უფროსად, ანუ სანიკიძის პირად უსასფრთხოებაზე ზრუნავდა...

მე მაქვს ინფორმაცია და ეს ინფორმაცია არაერთმა მომაწოდა, რომ 2007-08-09 და ა.შ. ხვედელიძე ითვლებოდა თანხების შემომტანად და საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა უკრაინაში მოღვაწე ბიზნესმენ დავით ჟვანიასთან. არ შემიძლია დავამტკიცო, იმ ხანებში „ნაცმოძრაობასთან" მიჰქონდა ეს თანხები თუ ოპოზიციასთან, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „ნაცმოძრაობასთან" იყო ახლო კავშირში, ასევე გამოიკვეთა მისი სახელი ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმესთან, რომელიც დღემდე გამოუძიებელია და პირდაპირი კავშირი ჰქონდა ვანო მერაბიშვილის ერთ-ერთ მოადგილესთან — ლორთქიფანიძესთან. ეს უკანასკნელი ხვედელიძის ოჯახის უახლოესი მეგობარია.

სახალხო დამცველსაც მიმართა მაშინ ერთ-ერთმა პატიმარმა, რომ ხვედელიძეც ერია ლაფანყურის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ გია ხუხაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან ბევრი სახელმწიფო ბიზნესის მფარველი იყო, მაგალითად, ე. წ. „კვერცხების" ბიზნესის, განაგებდა საქართველოს რკინიგზას და საქართველოს ფოსტას თავისი გარემოცვით, რომელშიც შედიან კოკა გუნცაძე, ლევან ჩიკვაიძე და სხვ. სხვათა შორის, ამ სფეროებში ხუხაშვილის დღემდე აქვს შენარჩუნებული გარკვეული გავლენები და ის, რომ სრულად ვერ ფლობს სადავეებს ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებში, ეს ბევრწილად ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გია ხუხაშვილი სერიოზული გავლენებით სარგებლობდა ივანიშვილის გარემოცვაში. მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა, აქ ხუხაშვილის ფაქტორი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ჩამოშორებულების კუთხით გავიხსენე. საქმე ის არის, რომ ირაკლი ღარიბაშვილს შემთხვევით არ ჩამოუშორებია თანამდებობებიდან ნაცვლიშვილი და ხვედელიძე, რადგან ნელ-ნელა ყველა დარწმუნდა, რომ ეს ადამიანები გარკვეულ კავშირში იყვნენ „ნაცმოძრაობასთან". მით უფრო, რომ ლაშა ნაცვლიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში იყო მაფიოზად წოდებული. მას აქამდე შემორჩა ეს სტატუსი. ამას ადასტურებს იცის, რომ მას, როგორც ყოფილ ჩინოვნიკს საცხოვრებელი სახლები აქვს ჩემი ინფორმაციით, ევროპაშიც, ინგლისშიც, შვეიცარიაშიც და თბილისშიც, ცხადია. პატიოსან ჩინოვნიკს ასეთი ფუფუნება, დამეთანხმებით, ვერ ექნება, მით უფრო, რომ მისი ოჯახი, რამდენადაც ვიცით, ინგლისში ცხოვრობს".

ისმის ლოგიკური კითხვა: ამ საეჭვო რეპუტაციის პირები როგორ აღმოჩნდნენ „ქართულ ოცნებაში" მაშინ, როცა 2012 წელს არჩევნებში ხმები მოსახლეობამ „ქართული ოცნების" კოალიციას სწორედ იმიტომ მისცა „ნაცმოძრაობის" ბნელი კლანები რომ მოეშორებინა სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

გიორგი ფარესიშვილი: „მიმაჩნია, რომ თავიდანვე ბიძინა ივანიშვილი ვიღაცებს შეცდომაში შეჰყავდათ და დღემდე შეჰყავთ.

რაც შეეხება ღარიბაშვილს, იგი ვერასდროს იღებდა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და ვერც დღეს იღებს.

საინტერესო ისაა, რომ არა მხოლოდ ღარიბაშვილი, „ქართული ოცნების" დიდი ნაწილი უფუნქციოა პარლამენტში.

ავიღოთ, მაგალითად, გია ხუხაშვილი, რომელიც ფარულად ლიდერობს პოლიტიკურ თამაშებში.

იგი მუშაობს საზოგადოებაზე. ეს გამოიხატება ტელევიზიებთან ურთიერთობაში.

როგორც ამბობენ, კულუარულ დონეზე სიტუაციებს ფლობს ხუხაშვილი, ხვედელიძე და ნაცვლიშვილი, რომელთაც შემდგომ კახა კალაძე დაემატა.

მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერი გახდა და მმართველობა ხელში აიღო, ეს სამი პერსონა ნელ-ნელა ჩამოაშორა ძალაუფლების პყრობას, მაგრამ ხუხაშვილმა მაინც მოახერხა, ერთ წელიწადში კვლავ შეძლო ძველი კავშირების აღდგენა და როგორც ამბობენ, აქტიურად დაიწყო ღარიბაშვილის კრიტიკა მის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიებიდან.

ყურადღებამისაქცევია ერთი ფაქტიც: გია ხუხაშვილი იმ პერიოდში დაუახლოვდა პრეზიდენტ მარგველაშვილს.

ხუხაშვილმა და ხვედელიძემ სამოქმედო არეალი გაიყვეს. თუ ხუხაშვილი ტელევიზიების კუთხით მუშაობდა, ხვედელიძე კულუარებში მოქმედებდა.

გია ხუხაშვილი

ის უშიშროების ყოფილი თანამშრომელი იყო და არის და ცხადია, ის ამ მიმართულებით აქტიურობდა — ქსოვდა ინტრიგებს, აწყობდა შეხვედრებს მათთვის საჭირო პირებთან, ავრცელებდა დეზინფორმაციას და ახორციელებდა წინასწარ შედგენილ გეგმებს.

შედეგიც დადგა.

ბიძინა ივანიშვილი დააჯერეს, რომ ხუხაშვილი, ხვედელიძე და ნაცვლიშვილი ღარიბაშვილმა უსამართლოდ ჩამოიშორა და მოიყვანა ახალი ჯგუფი.

ჯანყარაშვილის, შავლიაშვილის და სხვათა გვარებს საზოგადოება, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ გაიგებდა, ეს ადამიანები ღარიბაშვილის გუნდის წევრები რომ არ ყოფილიყვნენ, რადგან, როცა პრესა და ტელევიზია ამ გვარებს აქტიურად ასახელებდა და მათ საქმიანობას აკრიტიკებდა, ეს იყო, ფაქტობრივად, ღარიბაშვილის კრიტიკა და ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები.

მოკლედ, როგორც ჩანს, ივანიშვილი დაარწმუნეს იმაში, რომ ღარიბაშვილის კადრები უნდა შეეცვალა და მივიღეთ შედეგი: შს მინისტრი არის გომელაური, ბიძინა ივანიშვილის პირადი დაცვის ყოფილი უფროსი, ინფრასტრუქტურის მინისტრი გახლავთ ნოდარ ჯავახიშვილი, ისიც ივანიშვილთან დაახლოებული, ხოლო რა მოხდება აგულაშვილის შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტროში, ეს სხვა თემაა, რადგან ძალიან მტკივნეული საკითხია ბუნებრივი რესურსების თემა".

როგორც ამბობენ, პრემიერ ღარიბაშვილის თანამდებობიდან ჩამოშორების შემდეგ, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის სავარძელი კახა კალაძემ დაიკავოს, მით უმეტეს, ამის დიდი სურვილი აქვსო.

„ქართული ოცნების" კულუარულ წრეებთან დაახლოებულნი იმასაც ამბობენ, რომ ქართული პოლიტიკური ბიზნესის დღევანდელი ბოსების ხუხაშვილ-ნაცვლიშვილ-ხვედელიძეს მაღალი პოლიტიკური პოსტების დაკავების და მით უფრო, პრემიერობის სურვილები არ ამოძრავებთ. თუმცა კალაძისა და ამ ჯგუფის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და სწორედ ამ ინტერესებმა გააერთიანეს ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგო.

გიორგი ფარესიშვილი: „მე ინფორმაციების გარეშე, ანუ ვარაუდის დონეზე არ ვსაუბრობ და პირდაპირ გეუბნებით, ირაკლი ღარიბაშვილი თავის დროზე წინააღმდეგი წავიდა კალაძის მიერ მოზიდული ინვესტიციების განცორციელების თაობაზე. ამ საკითხებს ემსხვერპლა ჩემი ინფორმაციით, ელგუჯა ხოკრიშვილი...

ხუხაშვილმა განაცხადა: ირაკლი ღარიბაშვილი სუსტი პრემიერ-მინისტრი იყო და ამიტომ ეგონა ხალხს, რომ ქვეყანას ივანიშვილი მართავდაო.

ერთი სიტყვით, ხუხაშვილი

და მისი თანამოაზრეები პირდაპირ და ირიბად აკრიტიკებდნენ ღარიბაშვილს, ვითომდა ივანიშვილი კარგიაო, სინამდვილეში ამით ბიძინა ივანიშვილს უთხრიდნენ ძირს.

ეს ის ხუხაშვილია, რომელსაც ჩემთან პირდაპირ აქვს ნათქვამი, გია ნაცვლიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარიაო. ვინ და რატომ უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“, თვითონ განსაჯეთ“.

„ქართული ოცნება“ იქით იყოს და ზოგიერთები თავიანთ ვიწრო პოლიტიკური და მერკანტილური მიზნებით ქვეყნის მომავალს რომ ღუპავენ, ესაა სალაპარაკო, თორემ მთავრობები მოვლენ და წავლენ, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

საქმე ისაა, რომ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი ჩინოვნიკები, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ბინძურ გარიგებებში, დღემდე პრივილეგირებულ მდგომარეობას ინარჩუნებენ და მეტიც, ისინი მაღალ თანამდებობებზე აღმოჩნდნენ.

გელა ხვედელიძე

გიორგი ფარესიშვილი: „შევარდნაძისდროინდელი ჩინოვნიკების დიდი ნაწილი ნინო ბურჯანაძეს დაუახლოვდა და შემდეგ გადმოინაცვლეს მაღალ თანამდებობებზე. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ნოდარ ხადური და სხვებიც.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მე მქონდა რამდენიმეჯერ შეხვედრა ირაკლი ღარიბაშვილთან, მეტნაკლებად ვიცნობ და ვიცი: მისი ნება რომ ყოფილიყო, ამ კადრებს გვერდით არ დაიყენებდა.

გასათვალისწინებელია ენერგეტიკის სამინისტროში მიმდინარე მოვლენები და კახა კალაძის ინტერესები. ამ სამინისტროში ყველაფერი დატოვეს ისე, როგორ „ნაციონალების“ დროს იყო, მინისტრის მოადგილისთვის, ქალბატონი ვალიშვილისთვისაც კი არ უხლიათ ხელი. ამ სამინისტროში ჩემი ინფორმაციით, გავლენებს ინარჩუნებს ალექსანდრე ხეთაგური. სმკ-ის შემადგენლობა სრულად ნაციონალურია და მხოლოდ ჯანყარაშვილის ხსენება ღარიბაშვილის კომპრომეტაციისთვის, უადგილოა.

მოკლედ, ღარიბაშვილის წინააღმდეგ მოქმედებს ოთხი გამოკვეთილი ჯგუფი: ხვედელიძე-ხუხაშვილი-ნაცვლიშვილი, კალაძე, „ნაცმოძრაობა“ და ე. წ. პრპრუსული ჯგუფი“.

ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის კადრია და მის მიერ არის დასახელებული პრემიერ-მინისტრად. თუკი ღარიბაშვილის ჩამოცილება მოხდა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, ნაკლებად სავარაუდოა, რტომ ეს ხელს აძლევდეს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც, დიდი ალბათობით, ერთგული გარემოცვის ნაკლებობას განიცდის, ხოლო ღარიბაშვილი, თავის დროზე „ქართუ ჯგიფის“ წარმომადგენელი და შემდეგ თვით ივანიშვილის ხელდასმით გაპრემიერებული მისი ერთგული ყველა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო და ვგონებთ, არის კიდევაც.

ლაშა ნაცვლიშვილი

გიორგი ფარესიშვილი: „გელა ხვედელიძე, ლაშა ნაცვლიშვილი და გია ხუხაშვილი არ ვიცი რა ნიშნით, მაგრამ ბატონი ბიძინასთვის უპატიოსნეს ადამიანებად მოიაზრებოდნენ.

როცა მე სამივეს ვამხელდი, იმ პერიოდში ბატონი ბიძინა ამბობდა, ეს ადამიანები კრისტალურად სუფთა პიროვნებები არიანო. ამასობაში გამოჩნდა ხვედელიძის ბრალეულობა, დისკრედიტებული აღმოჩნდა საზოგადოების თვალში ნაცვლიშვილიც და ხუხაშვილიც და დაიწყო კვლავ დეზინფორმაციების მიწოდება ბატონი ივანიშვილისადმი — ეს პატიოსანი ადამიანები შენმა რჩეულმა ღარიბაშვილმა ჩამოგაშორაო.

ყველაფერი დაგროვდა და წავიდა ზეწოლები ირაკლი ღარიბაშვილზე.

თუმცა ყველაფერი, რაც ხდება იმის შედეგია, რომ ვერ მოხდა ერთი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბება. სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, ყველამ თავისკენ გასწია „საბანი“ და სახელმწიფო ინტერესი დაზარალდა, გუნდური მართვა ვერ შედგა და აქ ღარიბაშვილი არაფერ შუაშია. ღარიბაშვილმა ის გააკეთა, რომ ის სამი ადამიანი — ხუხაშვილი-ხვედელიძე-ნაცვლიშვილი ჩამოაშორა ძალაუფლებას, მაგრამ ვერ შეძლო, მაგალითად, ხადურის მოცილება, იმის მიუხედავად, რომ საზოგადოების 80% არ მოსწონს ის.

„ნაცმოძრაობის“ ზონდერჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელის შანტაჟის, თვალთვალის და მსგავსი უბედურებების სულისჩამდგმელი ვაჟა ლელუაშვილი რომ თავისუფლად დადის და არ ზის მერაბიშვილის გვერდით, მეტიც, მას ვილები რომ აქვს ესპანეთში, არის უზარმაზარი ფულის მფლობელი და ცხოვრობს ფუფუნებით და არ არის დასჯილი, ასევე დაუსჯელი დადის ბატონი შალვა ჯანაშვილი, რომელსაც შს ყველა სპეცნაზი ემორჩილებოდა. ამან რა შედეგებამდეც მიგვიყვანა, ყველა ვხედავთ. თავისუფალია ასევე ბატონი ჩხატარაშვილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ დროს შავ საქმეებს აკეთებდა და მერე „პიქსელის“ შენობაში გვერდით ეჯდა ხუხაშვილს, ჰქონდა ბიზნეს-ბანკი. ერთად „ჭრიდნენ“ ფულს ჩხატარაშვილი და ხუხაშვილი. ეს რომ გაიგო ღარიბაშვილმა, მაშინ გაუშვა „სახლში“ ხუხაშვილი, თორემ გავლენები, როგორც უკვე ვთქვი, დღემდე აქვს შენარჩუნებული რკინიგზაში კოკა გუნცაძის მეშვეობით და საქართველოს ფოსტაში ლევან ჩიკვაიძის საშუალებით.

დიახ, ყველაფერი წყალს ასხამს „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე და ანალიზი რომ გავაკეთოთ 2012 წელთან შედარებით, დღეს მათ მეტი მხარდამჭერი ეყოლებათ, ვიდრე ჰყავდათ მაშინ.

ახლა მსურს გესაუბროთ ღარიბაშვილის მოსალოდნელ გადადგომაზე, რაზეც ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება აქტიურად ლაპარაკობს.

თუკი ღარიბაშვილი და ივანიშვილი შეთანხმდნენ მთავრობის დაკომპლექტებაზე, მაშინ დარჩება ღარიბაშვილი თანამდებობაზე, თუ მასზე ზეწოლები განხორციელდა სხვადასხვა ძალებისგან და ვერ შეთანხმდნენ ღარიბაშვილი და ივანიშვილი, ღარიბაშვილი, ჩემი ვარაუდით, გადადგება.

თუ ხუხაშვილი და მისი ჯგუფი ბიზნესგავლენებისთვის იბრძვიან, კახა კალაძე იბრძვის არა მხოლოდ ბიზნესგავლენებისთვის, არამედ თანამდებობისთვისაც და დიდი ეჭვი მაქვს, კალაძეს უჭირავს თვალი პრემიერის სავარძლისკენ.“

საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს ამერიკის ელჩის და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა და შემდეგ თინა ხიდაშელის მინისტრად დანიშვნა.

თუ აშშ-ი ფიქრობს, რომ რესპუბლიკელები პროდასავლურები არიან, მაშინ ისინი ამ შემთხვევაში, არასწორ გათვლებს აკეთებენ. ის ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ ამ პარტიის ბირთვს, ყოველთვის იყვნენ რუსეთთან დაახლოებულები — კგბ-სთან და ფსბ-სთან.

საქმე ისაა, რომ ამდენი კინკლაობით და სკამებისთვის ბრძოლით იმედს უსპობენ ხალხს და ქვეყანა მიჰყავთ უკან-უკან, თორემ საკუთარ სახლებში რაც უნდათ, ის გააკეთონ“.

ვახტანგ მაისაია, ექსპერტი: კოალიციაში პრობლემები არა მხოლოდ პოლიტიკურმა, არამედ მერკანტილურმა ინტერესებმაც წარმოშვა. ყველას გვახსოვს ნაცვლიშვილ-ხვედელიძის ე. წ. ჯგუფის პოლიტიკური და ბიზნესინტერესების შესახებ რომ საუბრობდა მედია. ეს იყო პოლიტიკის კომერციალიზაციის პროცესი.

ვახტანგ მაისაია

სხვათა შორის, ნაცვლიშვილის და მისი თანამოაზრეების მიერ მოხდა პოლიტპატიმრების თემის სპეკულირება. ისინი, ფაქტობრივად, ვაჭრობდნენ პოლიტრეპრესირებულთა და პოლიტპატიმართა საქმეებით. თვითონ ნაცვლიშვილი და ხვედელიძე „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული თანამდებობის პირები იყვნენ და თავის დროზე შევარდნაძის მთავრობაშიც გარკვეული პოსტები ეკავათ. ესენი არიან დამნაშავე რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენლები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ საკუთარი ტყავის გადასარჩენად. ესენი იყვნენ, ნაციონალური არქიტექტურის მახინჯი შენობის „პრარაბები“ და მათი მოცილება და დასჯა აუცილებელი იყო.

ამ მთავრობას, ელემენტარულად, პოლიტპატიმრების საკითხისთვის უნდა მიეხედა, ბოლოს და ბოლოს, სსრკ-ს ყველაზე საძულველმა ნიკიტა ხრუშჩოვმა მოახერხა ამ საკითხის დალაგება და რა გახდა საქართველოში პოლიტპატიმრებისთვის სტატუსის მიცემის საკითხი?!

სამწუხარო ამბავია, რომ ხალხის დიდი მოლოდინი ვერ გაამართლა „ქართულმა ოცნებამ“ და დღეს უკვე დგას დღის წესრიგში ირაკლი ღარიბაშვილის, როგორც პრემიერ-მინისტრის ცვლილების საკითხი. ეს უკვე დროის თემაა, თორემ ღარიბაშვილი, ალბათ, აღარ იქნება საქართველოს პრემიერი.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც ჯერჯერობით თავი შეიკავა დაემტკიცებინა თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად, ბევრად უფრო თავისუფალია თავის ქმედებებში, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი. მარგველაშვილი დიდი ხანია გასულია. „ქართული ოცნების“ კოალიციის რიგებიდან და ფაქტობრივად, ნომინალური ფიგურაა, ის დამოუკიდებლად „ცურავს“.

მარგველაშვილი თავიდანვე მართული იყო და დღემდე არის სიმბოლური ფიგურა, რომელიც ქართული პოლიტიკის ექსპონატად გადაიქცა.

რამდენიმე სიტყვით ბიძინა ივანიშვილის ფაქტორსაც შევეხები. მე მიმაჩნია, რომ ის უნდა დაბრუნდეს ქართულ პოლიტიკაში. მის ქმედებებს ამის ნიშნები ეტყობა კიდეც. ივანიშვილმა შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „მოქალაქე“, სადაც, სავარაუდოდ, იკრებს ისეთ პირებს, რომლებიც შემდგომში, ალბათ, პოლიტიკურ გუნდად გამოადგება და ეს იქნება კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური რეზერვი.

ვიღაცები საუბრობენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, მაგრამ მე არა მგონია, ეს რეალობას შეესაბამებოდეს. ვფიქრობ, 2016 წლამდე მიიყვანენ პოლიტიკურ სიტუაციას ისე, როგორც არის“.

პოლიტიკური პროცესები ისეთი სისწრაფით იცვლება, გაზეთის ამ ნომრის გამოსვლამდე შეიძლება, ახალი პოლიტიკური სიურპრიზებიც მოხდეს, თუმცა ერთი რამ შეიძლება ითქვას, საქმე სამთავრობო ცვლილებებში კი არ არის, არც იმაზეა ლაპარაკი, პრემიერი ვინ იქნება, ან მინისტრები ვინ იქნებიან, საკითხი ქვეყნის წინსვლას ეხება, ქვეყნის მომავალს, რომელიც გარკვეული ჯგუფების ვიწრო ინტერესებს — ჯიბეების გასქელებას ეხება, თორემ ხელისუფალნი იცვლებოდნენ, იცვლებიან და კვლავაც შეიცვლებიან...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18



„საქართველო, მე პირობა მოვიცი...“

გასული წლის ზაფხულიდან ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგაა მიმართული

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძის განცხადებით, თუ სამართალდამცავ და საგამოძიებო უწყებებში გამოცდილი, პროფესიონალი კადრები არ დააბრუნეს, მათ მუშაობაში პრობლემა მუდმივად იარსებებს.

— საზოგადოებას კარგად ახსოვს, როგორი რთული კრიმინოგენური ვითარება იყო სამოქალაქო ომის შემდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევარში მარტო ჩვენმა 21-კაციანმა განყოფილებამ (ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური) 105 მძიმე კატეგორიის დანაშაული (მკვლელობა, ადამიანის გატაცება, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება) გახსნა, რაც ადვილი საქმე არ იყო, მით უმეტეს, რომ მაშინდელი პოლიცია მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფილი ნამდვილად არ ყოფილა. იმ პერიოდში ვმუშაობდი თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმეზეც, რომელიც ფაქტობრივად გაიხსნა. განყოფილებაში სულ 2-3 გამოცდილი კადრი ვიყავით, მაგრამ გვყავდა გამჭრიახი გონების ახალგაზრდა თანამშრომლები, რომლებიც ჩვენს მითითებებს ბრწყინვალედ ასრულებდნენ. ასეთი ახალგაზრდები ახლაც ბევრია, უბრალოდ მათ კარგი მასწავლებელი ჭირდებათ.

90-იან წლებში თბილისის პოლიციაში 650 ოპერატიული თანამშრომელი იყო, აქედან ასზე მეტი ახალგაზრდა გამოუცდელი კადრი, მაგრამ დაახლოებით 60 იმ დონის პროფესიონალი მუშაობდა, რომლებიც უშიშროების სამსახურის ფუნქციასაც ასრულებდნენ და მთელი თბილისი „გადახურული“ იყო. მაშინდელი გახმაურებული მკვლელობები რამდენიმეს გარდა, ყველა გახსნილია. დანარჩენებიც პოლიტიკური მოტივით არ გაიხსნა, თორემ პოლიცია აქ არაფერ შუაშია. ასეთი მოტივი კი ყოველთვის იარსებებს, ასე რომ, გაუხსნელი საქმეებისგან არავინაა დაზღვეული. სხვათა შორის, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი შევარდნაძის მმართველობის პერიოდშივე ცდილობდა ოპერატიული სამსახურის განადგურებას, მაგრამ კობა ნარჩემაშვილმა ყველაფერი გააკეთა ოპერატიული შემადგენლობის შესანარჩუნებლად, თუმცა სააკაშვილმა მერე ყველა გაყარა სამსახურიდან.

სამართალდამცავი სისტემა გამართულად როგორ იმუშავებს, როცა უაღრესად შეკვეცეს პროკურორებისა და მოსამართლეების რაოდენობა. შევარდნაძის მმართველობისას, როცა ყველა რაიონში იყო სასამართლო, მაინც 4-5 საათით და უფრო მეტი ხნითაც გვიწევდა ლოდინი, რომ სხვადასხვა პროცედურა დაგვეკანონებინა.

შევარდნაძის მმართველობისას ე.წ. ახლგაზრდა რეფორმატორებს ერთი ამბავი ჰქონდათ ატეხილი, შსს მონსტრი უწყებაა და ის აუცილებლად უნდა დაიშალოს, საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურები ცალ-ცალკე უწყებად უნდა ჩამოყალიბდესო. „რეფორმატორული“ იდეების თანახმად თბილისის პოლიციაც უნდა გამოყოფოდა შსს-ს და დედაქალაქის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებოდა. „ვარდოსნებს“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ საკუთარი „ნოვატორული“ იდეები, რატომღაც დაავიწყდათ, შსს და უშიშროების სამინისტრო ერთ უწყებად გააერთიანეს და მართლაც მონსტრად აქციეს, რაც იმის დასტურია, რომ მათი რეფორმატორული პოლიტიკა, მხოლოდ მაშინდელი სამართალდამცავი სისტემის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. დღეს სახელმწიფოს უსაფრთხოება ერთი ადამიანის ხელშია, რაც ყოვლად დაუშვებელი.“

დავით გაგნიძე: „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის (საშინაო დაზვერვა) უფროსი ამ თანამდებობაზე დიდხანს არც უნდა გააჩერო. სტალინმა ეს კარგად იცოდა, ამიტომაც რამდენჯერმე შეცვალა „ენკავედეს“ (შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი) ხელმძღვანელი, ბოლოს გაყო კიდეც ეს უწყება შს და უშიშროების სამინისტროებად. სტალინი ყველაზე მეტად ბერიას ენდობოდა, მაგრამ 1943 წელს ისიც ჩამოაცილა ხსენებული სტრუქტურის ხელმძღვანელის პოსტს. დღეს ერთი კაცის ხელშია შს და უშიშროების სისტემები, რომლებიც იღებენ ოპერატიულ ინფორმაციებს, ერთ უწყებაშია დაზვერვა-კონტრდაზვერვა, სახელმწიფო უსაფრთხოება, კონტრტერორისტული ცენტრი და ა.შ. ამ ერთ კაცს ხომ შეუძლია თავის ნებაზე ათამაშოს პრეზიდენტიცა და აღმასრულებელი ხელისუფლებაც, ვინც ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობს, სახელმწიფოსაც ფაქტობრივად ის მართავს. აქედან გამომდინარე, ვინ გამოდის რეალურად ქვეყნის ხელმძღვანელი, შს მინისტრი თუ პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი? ამას აშკარად ჯობია 2-3 ერთმანეთის კონკურენტი უწყება იყოს, რომელიც ინფორმაციას მოიპოვებს, სხვათა შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროცაა ინფორმაციის მომპოვებელი, ყველა უწყების მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი კი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში უნდა გაკეთდეს. აშკარად ჩანს, რომ ვიღაცას არ უნდა ანალიზი გაკეთება, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიღაც მესამე ძალაა, რომელიც დაინტერესებულია არასწორი ინფორმაცია „შეუცურონ“ შსს-ს, რომელსაც ეს უკანასკნელი შემდეგ ხელისუფლებაში მიიტანს. ეს დეზინფორმაცია ისე ლამაზად იქნება შეფუთული, რომ მართალი გეგონება, მოგეხსენებათ, დეზინფორმაციის გავრცელება ცალკე „ხელოვნებაა“, წერტილისა და მძიმის გადაადგილებითაც კი შეიძლება შინაარსის შეცვლა. გასული წლის ზაფხულიდან ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგაა მიმართული, ამ გაუთავებელი ლანძღვით, ხალხს უკვე შეუცვალეს დამოკიდებულება მის მიმართ, ლამის მეც კი შემეცვალოს წარმოდგენა პრემიერზე, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი, რეალურად რაც ხდება.

— ბატონო დავით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უშიშროების საბჭო, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს უწევდა კოორდინაციას, პრემიერ-მინისტრის აპარატთან შეიქმნა ახალი უსაფრთხოების საბჭო, რომელიც სამართალდამცავი და უშიშროების სფეროს კონტროლს ახორციელებს, რის გამოც ირაკლი ღარიბაშვილი კიდევ ერთხელ გახდა მათი თავდასხმის ობიექტი. თქვენ თუ მიგაჩნიათ გამართლებულად პარალელური ორგანოს შექმნა?

— რამდენადაც ვიცი, უშიშროების საბჭო თავდაცვის სამინისტროს კონტროლს ახორციელებს, რომელსაც ყავს თავისი დაზვერვის სამსახური, ანუ ისიც ინფორმაციის მომპოვებელი უწყებაა. ახალი საბჭოს შექმნა იმაზე მეტყველებს, რომ უშიშროების საბჭო სანდო არ არის, ე.ი. რაღაც ისეთში „გამოიჭირეს“, რომ აღარ ენდობიან და საჭირო გახდა ცალკე საბჭოს შექმნა.

ყველაფერი ფაქტობრივად ერთ ადამიანს, ახალგაზრდა, გამოუცდელ ირაკლი ღარიბაშვილს შეატოვეს, რომლის წესიერებასა და პატრიოტიზმში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ მარტო ის რას შეძლებს, მით უმეტეს რომ ის თვითონ ვერც წყვეტს ყველაფერს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც ბევრი არაფერი შეცვლილა, აეროპორტები ისევ გადატენილია, ხალხი ლუკმაპურის საშოვნელად ისევ საზღვარგარეთ გარბის. ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთაა წასული, რაც ვფიქრობ, სპეციალურად გაკეთდა. ახლახან მოვისმინე, რომ ერის 10-15% ინტელექტუალური ნაწილი ამოძრავებს ქვეყანას, ის არის წამყვანი ძალა, ამგვარ ადამიანთა 5% თუ მაინც დარჩა ქვეყანაში, საზოგადოებაში უკანონობის მიმართ პროტესტის მუხტი კვლავ შეიძლება წარმოიშვას, დაიწყოს საპროტესტო აქციები, ამიტომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს 5%-იც აღარ დარჩეს ქვეყანაში.

— ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ამ დანაშაულის გახსნის პერსპექტივა არსებობდა და მკვლელობაში გია უდესიანის მონაწილეობაც ეჭვქვეშ დააყენეთ. ხარძიანის პირველმა ოჯახმა ბიზნესმენის მკვლელობის დაკვეთაში მის მეორე მეუღლეს, ეკა ნონიკაშვილს დასდო ბრალი. პროკურატურა ამ განცხადებამდეც საეჭვოდ იყო გაჩუმებული. ამ ყველაფერს როგორ შეაფასებთ?

— ხმაურის ატეხვა არც არის საჭირო, მე ის მიკვირს იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული სოსანაშვილის დაკავების გახმაურება რაში დაჭირდათ, ხომ ხედავთ ყველაფერი როგორ შემოუბრუნდათ. ესეც ისევ არაპროფესიონალიზმის ბრალია. ვერ გეტყვით რამდენად სიმართლეს ამბობს დნმ-თან დაკავშირებით სოსანაშვილი, მაგრამ ჩემი სოდში მუშაობის პერიოდში, ასზე მეტ თანამშრომელს ერეკლე კოდუას მოადგილის კაბინეტში ჩაგვიტარეს ნარკოლოგიური შემოწმება და თავად კო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №15

დუა იქექებოდა მოადგილეებთან ერთად საანალიზო მასალებში. ასე რომ, გამორიცხული არაფერია. გარდაცვლილი ადამიანის, მით უმეტეს ასეთი სისასტიკით მოკლულის, რაღაც საეჭვო კავშირებზე საუბარი კი ყოვლად გაუმართლებელია, თუმცა თავის გადასარჩენად ზოგიერთები ყველაფერს კადრულობენ, რაც პირველ რიგში სწორედ ყოფილ პოლიციელებს ახასიათებთ. ადსროლას არ ატეხავდა და არც სამხილებს დატოვებდა. ჯერ ითქვა, რომ მკვლელმა ერთ საათში დატოვა საქართველო, რეალურად ამ დროში იგი აეროპორტამდეც ვერ მიაღწევდა, მერე მიხვდნენ ამ ვერსიის აბსურდულობას და ვადა გაზარდეს. მოგვიანებით პროკურატურამ და ხარძიანების ადვოკატმა უარყვეს მკვლელის ეროვნულობისა და მოქალაქეობის შესახებ ისტო-

რეც გითხარით, რომ სოსანაშვილის პროფესიონალიზმი ჩემში დიდ ეჭვს ბადებდა, ამიტომაც არ მგონია ხელყუმბარა მისი დამონტაჟებული იყოს, მისთვის მართლაც რომ დაევალებინა ვინმეს, დარწმუნებული ვარ მაშინვე „დაფქავდა". რაც შეეხება ხარძიანის მკვლელობასთან დაკავშირებით მისი შვილებისა და პირველი მეუღლის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, არც ამ შემთხვევაში შეიძლება რაიმეს გამორიცხვა, გამოძიებამ ყველა ვერსიაზე უნდა იმუშაოს, თუმცა ახლა უკვე ამ საქმის გახსნაც მეეჭვება. ამ განცხადებების ავტორები თავიანთი ვერსიის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულებულებიც რომ იყვნენ, საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავი მაინც უნდა შეეკავებინათ, რადგან ეს არც მორალურია და შერია, თურმე ეს ვერსია საერთოდ არ არსებობს. მაშინ ვის დაჭირდა და რას ემსახურება ამ ცრუ ინფორმაციის გავრცელება? რამდენადაც ვიცი ის ყბადაღებული მოპედი ჩაფხუტიანად რამდენიმე საათში იპოვეს კეკელიძის ქუჩაზე, ხარძიანის შვილის განცხადებით კი, ორი დღის შემდეგაც უთვალთვალებდა მას მოპედიანი პირი. ე.ი. რა გამოდის, ან ნაპოვნი მოპედი არ ეკუთვნოდა მკვლელს, ანდა მოპედიანი მკვლელები დათარეშობენ ქალაქში. დარწმუნებული ვარ მკვლელი ადგილობრივი მცხოვრებია, რომელიმე მოხულიგნო ახალგაზრდა, რომელსაც შეიძლება მანამდე არც უსვრია ვინმესთვის, მაგრამ გარკვეული „გასამრჯელოს" საფასურად მძიმე დანაშაულის ჩადენაზე დათანხმდა. ისიც ფაქტია, რომ მას ვიღაცის იმედი

იძლება გამოძიებასაც ხელი შეუშალოს. მე ადრეც გითხარით, რომ ეს არ იყო პროფესიონალი ქილერის შესრულებული მკვლელობა, პროფესიონალი მაქსიმუმ ორ ტყვიით დაასრულებდა ყველაფერს. თუ მკვლელობის დამკვეთი უდესიანი იყო, როგორმე მოახერხებდა პროფესიონალის დაქირავებას, რომელიც ქალაქის შუაგულში მოწმეების თვალწინ ჰქონდა, თორემ ასე თავხედურად ვერ მოიქცეოდა. ოპერატიულ სამსახურსა და გამოძიებას სათანადოდ რომ ემუშავა, ეს დანაშაული „ცხელ კვალზე" უნდა გახსნილიყო, ღმერთმა ქნას გაიხსნას, თუმცა, როგორც გითხარით, ეს ძალიან მეეჭვება.

მანანა ხუხიშვილი
599 51 28 24

გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ

თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც ჩვენი სამშობლო საქართველო საომარ ვითარებაშია. უბედურებაც ის გახლავთ, რომ ვებრძვით უხილავ მტერს, მოწინააღმდეგეს, რომელსაც არ სურს შედგეს ჩვენი ქვეყანა, როგორც სახელმწიფო. ბრძოლა გვიხდება როგორც შინაურ, ასევე გადამთიელ მოწინააღმდეგესთან. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები, როგორც დღეს ვხედავთ, მხოლოდ ბრძოლები იყო, მაგრამ ომი, დიდი ომი ჯერ არ დამთავრებულა და დღესაც აქტიურად გრძელდება.

ყველამ კარგად უწყის, რომ საქართველოს არსებობის განმავლობაში მრავალი ომი გადაუხდია. დღევანდელისგან განსხვავებით, წინათ ჩვენი წინაპრები ხილულ მტერს ებრძოდნენ, ახლა კი, მართლაც გაუგებარია, ვინ გვებრძვის — მტერი თუ მოკეთე. გვებრძვის ყველა, ვისაც არ ეზარება. ჩვენ მათ საქართველოს მეგობარ ქვეყნებად მივიჩნევთ, მაგრამ მათი ქმედებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ ასეთ მეგობრობას ისევ აშკარა ომის გამოცხადება ჯობს, რადგან, ზუსტად მაინც გვეცოდინება, რას გვიქადიან. მაგალითებისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება და არც თავს შევაწყენთ. ჩვენი ჩილის ამოძირკვა, ჩვენი საკუთარი ისტორიის იგნორირება განა სისხლისმღვრელ ბრძოლაზე უარესი არ არის? ამასთან, დამაქცევარმა სააკაშვილმა „ახალი საქართველოს" შექმნა გადაწყვიტა. სამწუხაროდ, ნაწილობრივ შეასრულა კიდეც.

ტყუილი და ფარისევლობა ქართული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. 2012 წლის არჩევნებამდე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ილუზიებში რომ იყო, ცნობილი ფაქტია. საბედნიეროდ, ხალხი დროზე გამოფხიზლდა და „ნაცმოძრაობა" ცოტათი ჩააჩოჩა. ცოტათიო, იმიტომ ვამბობთ, რომ დამნაშავე პარტიამ თავი მალევე წამოყო. გავიხსენოთ თუნ-



ნოვნიკები კი ვითომ ვერც ვერაფერს ამჩნევენ და ჯიუტად მოიხსენიებენ, მათ, როგორც „საქართველოს მეგობრებს".

საქართველოსთვის ყველაზე საშიში მტერი ისევ ქართველია. ტყუილად როდი ცდილობდნენ სპარსეთის მმართველები საქართველოს დანაწევრებას, რადგან ერთიანი საქართველოს დამარცხება შეუძლებლად მიაჩნდათ. არც თუ უსაფუძვლოდ. სამწუხაროდ, შინაური ომი კვლავ გრძელდება ჩვენში. აქ აღარაფერს ვიტყვით 1991 წელს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე, რომელიც ცალკე განსჯის საგანია.

თანამედროვე შინაური ომი, საქართველოს და ქართველების წინააღმდეგ განსაკუთრებით მძაფრად და აშკარად 2003 წლის მიწურულს, ე. წ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაიწყო. განათლების სიატემის დანგრევა, ყოველგვარი ქართუდაც საჯარო ბიბლიოთეკასთან გამართული აქცია. დღეს „ნაცმოძრაობის" წევრები ბიძინა ივანიშვილს აქტიურად ლანძღავენ. მათ არ სურთ დაიჯერონ, რომ არა მისი ჰუმანური დამოკიდებულება, გამწარებული და შეურაცხყოფილი ხალხი „ნაცმოძრაობას" წალეკავდა. ამიტომაც იყვნენ რამდენიმე თვე გაყუჩებული. როდესაც დაინახეს, ხალხი რბილად გვექცევაო, წამოყვეს თავი. მათ ვერ დაინახეს ის სიკეთე, რომელიც მათ მიმართ გამოიჩინა ახალმა ხელისუფლებამ. შეიძლება დღეს ამის გამო ვუსაყვედუროთ კიდეც „ქართულ ოცნებას", მაგრამ მაშინ შეიძლება ქართველთა სისხლი კვლავ დაღვრილიყო ქართველთავე ხელით, მაგრამ ლოიალობასაც აქვს თურმე საზღვარი.

დაუსჯელობის სინდრომით გაბრუებულმა „ნაცმოძრაობის" წევრებმა დღეს უფრო გააქტიურეს თავიანთი მოქმედებები. ეგ კი არა, ხელისუფლებაშიც აპირებენ თურმე კვლავ დაბრუნებას! ამიტომაც აგრძელებენ ომს საქართველოს და ქართველების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მათ შეფარულად თუ აშკარად გვერდში სხვადასხვა ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელევიზიები უდგანან.

საქართველოში დღეს იმდენი პოლიტიკური პარტიაა, რომ ზუსტი რიცხვის დასახელება, ალბათ, იუსტიციის სამინისტროშიც კი გაუჭირდებათ. ყველა მათგანი ხელისუფლებაში მოსვლაზე ოცნებობს და გეგმავს. უბედურება კი ის გახლავთ, რომ თუ გაწყრა ღმერთი და ზოგიერთი მათგანი მართლაც მოექცა სათავეში, რას გააკეთებენ, თავადაც არ იციან. სურთ ქვეყნის სათავეში, მმართველობაში მოსვლა და მორჩა! ბევრი მათგანი, ჩვენდა საუბედუროდ, არათუ დამნაშავე „ნაცმოძრაობას" არამედ თვით ეშმაკს დაუკავშირდება, ოღონდ როგორმე მიიღოს ან შეინარჩუნოს რაიმე თანამდებობა. ქვეყანაზე და მის განვითარება-წინსვლაზე კი არავინ ფიქრობს, ხალხი ხომ სულაც არ ადარდებთ. ამასთან დაკავშირებით ერთმა მეგობარმა მითხრა: „საქართველოში ჩამოყალიბდა „ვლასტიტუტკების" და „პოლიტტუტკების" კასტაო".

დიახ, დღეს საქართველო ომობს შინაურ და გარეშე უხილავ მტერთან. ომობს რამდენიმე ფრონტზე. საუბედუროდ, ამ ომში ქვეყნის პრეზიდენტიც ჩაერთო, ოღონდ საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ აუცილებელია სრულიად ქართველი ჯანსაღი საზოგადოების გააქტიურება ქვეყნის გადასარჩენად. ჭკვიანი ადამიანის ნათქვამია, რომ სამშობლოს და სახელმწიფოს ცნებები განსხვავებულიაო. ამ „პოლიტტუტკებს", „სვასტიტუტკებს", არასამთავრობოებს, ზოგიერთ ჩვენს „კოლეგა-ჟურნალისტს" ორივე ცნება არაფრად მიაჩნია. ამიტომ აუცილებელია, ყველას თავისი რეალური სახელი დავარქვათ და ადგილიც მოვუჩინოთ, თორემ წაგებული უხილავი ომი დამღუპველი იქნება.

გია ბურდული
551 71 27 07

ლია ელიავა:

როდის დადგება ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ლარის გაუფასურებაში მთავარი დამნაშავეა?

გვესაუბრება საბანკო საქმის სპეციალისტი, პროფესორი ლია ელიავა:

— ქალბატონო ლია, ლარი კვლავ „გაგვექცა“. ვინ და როგორ აყალიბებს საქართველოში სავალუტო კურსს?

— სავალუტო კურსი, საქართველოში, ეკონომიკური პროცესების შესაბამისად არ ყალიბდება, ეკონომიკა ნაკლებ გავლენას ახდენს. ესაა კომერციული ბანკების მოთხოვნილება უცხოურ ვალუტაზე. ამ კურსის ჩამოყალიბების მექანიზმი საზოგადოებისთვის უცნობია. ჩვენ არ ვიცით რამდენს ვაჭრობს კომერციული ბანკები ერთმანეთთან, ზოგადად, რამდენი კომერციული ბანკი ვაჭრობს და აგრეთვე, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ღიაა და ყველას შეუძლია ამის გაგება და გააზრება. ამიტომაც, პრინციპში, საქართველოში, სავალუტო კურსის პროგნოზირებაც კი შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით ბანკთაშორის ვაჭრობაში რა ტენდენციებია.

— ვის ხელეწიფება არეგულიროს სავალუტო კურსი და ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობამდე არ მიიყვანოს?

— ხშირად გვესმის, სავალუტო კურსის ვარდნაში მთავრობაა დამნაშავეო. მინდა გითხრათ, რომ მთავრობას, სავალუტო კურსთან, არანაირი შეხება არ აქვს. ეს ეროვნული ბანკის პრეროგატივაა განახორციელოს კანონით დაკისრებული ფუნქცია — ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა. რა თქმა უნდა, მთავრობას აქვს პრობლემები, შეცდომები, მაგრამ ისეთი მავნებლური ზემოქმედება, როგორიც ახლა ლარს გაჩნია, მთავრობას ნამდვილად არ გაუკეთებია. დავსვათ კითხვა, რაში გამოიხატება ეს მავნებლობა — ლარის კურსის ვარდნა? — ქვეყანაში მწიფდება მდგომარეობა იმისათვის, რომ სავალუტო კრიზისი ჯერ საბანკო და შემდეგ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს. ამას მოწმობს მსოფლიო ყველა ქვეყნის გამოცდილება. სავალუტო კრიზისები ყველას აქვს გამოვლილი, რასაც თან სდევს ან შემდგომ მოჰყვება საბანკო კრიზისი. რატომ შეიძლება შეიქმნას საბანკო კრიზისი? — იმიტომ, რომ მოსახლეობა ვეღარ აუდის თავის ხარჯებს, შემოსავლები უცვლელი აქვს და გადასახადი, საკრედიტო ვალდებულებებზე, ეზრდება. ეს მხოლოდ იმ პირებს არ ეხება, ვისაც სესხი უცხოურ ვალუტაში აქვს აღებული. დიახ, მათ ნამდვილად გაეზარდათ გადასახადი, ვინაიდან შემოსავალი ლარში აქვთ. ეს ეხებათ ლარში მსესხებლებსაც იმიტომ, რომ მათ, უცვლელი შემოსავლების პირობებში, ოჯახის შენახვის ხარჯი გაეზარდათ და თავიანთი სასესხო ვალდებულებების მომსახურებისათვის, უფრო ნაკლები თანხა შეუძლიათ გამოყონ. გარდა ამისა, სავალუტო კრიზისმა საკმაოდ მძიმე შედეგი დატოვა ჩვენს ეკონომიკაზე. ახლაც კი, იმის შიშით, რომ ლარის კურსი შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს, მოსახლეობამ ფულის ხარჯვა შეწყვიტა. მათ ფული უცხოურ ვალუტაში გადაახურდავეს და შეინახეს. როდესაც ფულის ხარჯვა ანუ იგივე, გადახდისუნარიანი მოთხოვნა წყდება, ეს ყოველთვის იწვევს ქვეყანაში ბიზნეს-პროცესების შენელებას. თუ საქონელი არ გაიყიდა, ბიზნესი თანდათანობით ამცირებს და მერე მთლიანად წყვეტს თავის საქმიანობას. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავლები აკლდება, იზრდება უმუშევრობა და შედეგად, ვღებულობთ ეკონომიკურ კრიზისს.

— ხშირია შემთხვევები, როცა მცირედით, მაგრამ დღეში რამდენჯერმე შეცვლილა ლარის კურსი, ბუნებრივია ამას მთავრობა ვერ გააკეთებს. სად მარხია ძაღლის თავი, თუნდაც, საკმაოდ მცირედი რყევებითაც, რომელსაც მოსახლეობა ვერ გრძნობს, ხომ ძალიან დიდი ფული კეთდება?

— გეთანხმებით, ნებისმიერი სავალუტო რყევა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც შემოსავლის საკმაოდ მსუყე წყარო. იგი მსუყე წყარო ხდება მაშინ, როდესაც შენ დიდი ფული გაქვს და მის კონვერტაციას ახდენ. უბრალო მოსახლეობა არც კი უნდა ეცადოს ლარის კურსზე ითამაშოს იმიტომ, რომ 99% შემთხვევაში, წაგებული დარჩება. ეს კომერციული და ეროვნული ბანკის თამაშია, მეტი, აბსოლუტურად, არავისი. ასეთი სპეკულაციური განწყობების ხელშეწყობა, ეროვნული ბანკის მხრიდან, სწორ ნაბიჯად არ მიმაჩნია. იმის ნაცვლად, რომ კომერციულ ბანკებს გარკვეული ადმინისტრაციული ღონისძიებები დაუწესოს, რათა მათ სპეკულაციები შეწყვიტონ, ეროვნული ბანკი პირიქით, მათ (კომერციულ ბანკებს) სპეკულაციაში უწყობს ხელს — მათ დამატებით სახსრების მეშვეობით აფინანსებს. თქვენ, ხშირად გსმენიათ, რეფინანსირების სესხებზე, რომლებსაც კომერციული ბანკები წმინდა სპეკულაციური საქმიანობისათვის იყენებენ. ანუ ახდენენ ამ თანხების კონვერტირებას, გააქვთ უცხოეთის ბირჟებზე, იქ ამას ატრიალებენ და საკმაოდ მსუყე შემოსავალს ღებულობენ. აქვე, დავსძენ თუ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს, მათი ლიკვიდობის პრობლემის მოსაგვარებლად, რეფინანსირების სესხებს აძლევს, მაშინ ჩვენი ანაბრები საფრთხეშია! რეფინანსირების სესხები ეკონომიკაში არ ხვდება.

გიორგი ქადაგიძე

— ქალბატონო ლია, მოდით, ლარის კურსის ვარდნის მიზეზებზეც ვისაუბროთ?

— 2014 წლის ზამთარში, როცა უცხოური ვალუტის ნაკადების შესახებ მონაცემები ჯერ კიდევ არ გვქონდა, საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ ლარის კურსის რყევა ფულადი ნაკადების შემცირებამ გამოიწვია. რეალურად, გეტყვით, რომ სავალუტო კურსის რყევა წმინდა სპეკულაციური ხასიათისაა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით დასტურდება, რომ სავალუტო შემოდინებები არათუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. რა უწყობს ხელს ამ სავალუტო სპეკულაციებს? — პირველ რიგში, ეროვნული ბანკის ავტორიტეტის ვარდნა. რით შეიძლება დავადასტუროთ, რომ ეროვნული ბანკის ავტორიტეტი დავარდა? — ძალიან მარტივი მაგალითით: თქვენ გახსოვთ, რომ ნოემბერ-დეკემბერ-იანვარში ეროვნული ბანკი ჯერ იძახდა, რომ სავალუტო ინტერვენციებს არ განახორციელებდა, მერე ახორციელებდა. შემდეგ ამბობდა, რომ სავალუტო ინტერვენციების განხორციელება კონტრ-პროდუქტიულია და მერე ახორციელებდა. მსოფლიოში ყველა ცენტრალური ბანკის მმართველის სიტყვას ძალიან დიდი წონა აქვს. საქართველოში, ეს წონა, ეროვნულ ბანკს დაეკარგა იმიტომ, რომ ყველამ — საფინანსო, ბიზნეს წრეებმა დაინახა, რომ პრაქტიკულად, ეროვნული ბანკის საქციელი, არაადეკვატური იყო. უფრო მეტსაც გეტყვით, დღეს ეროვნული ბანკი დაბნეულია, არ იცის რა ქნას, მას არ შეუძლია ექსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ზომების განხორციელება. ამ ყველაფერს ბიზნესმენები, ასევე, კომერციული ბანკები კარგად ხედავენ და იჭერენ მომენტს, როცა შეიძლება კარგი, მსუყე ფულის გაკეთება.

— შევარდნაძის დროს კომერციულმა ბანკებმა ქვეყანა გააჩანაგეს, მაშინ ისინი მოსახლეობას 40%-ს სთავაზობდნენ. მას მერე, შენების ნაცვლად, ინერციით ნგრევისკენ მივდივართ.

— შევარდნაძის პერიოდი აღსანიშნავი იმით იყო, რომ ქვეყანაში ბანკების ნაცვლად ფინანსური პირამიდები არსებობდნენ. ესაა თაღლითური ფინანსური სქემები, რომელთა მოწოდებაა მოსახლეობიდან რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღონ და მერე აორთქლდნენ. 2000 წლიდან, მეტ-ნაკლებად, ამ პროცესის მოწესრიგება დაიწყო, შემუშავდა სპეციალური ნორმატიული დოკუმენტები, გაძლიერდა ბანკების ზედამხედველობა, თუმცა ტენდენცია, როგორც ასეთი, რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღო, ოღონდ ისე, რომ ბაზრიდან არ გაქრე, მაინც შენარჩუნდა. კომერციული ბანკი ქვეყანაში საჭიროა, მაგრამ იგი ქვეყნის ეკონომიკის მომსახურე ობიექტი უნდა იყოს და არა პირიქით — ეკონომიკა არ უნდა ემსახურებოდეს მას. საქართველოში საბანკო პრაქტიკის მახინჯი ფორმა გვაქვს — მთელი ეკონომიკა საბანკო სექტორზე მუშაობს და საბანკო სექტორი თითს არ ანძრევს იმისთვის, რომ ეკონომიკას იაფი სესხებით დაეხმაროს. ეს სიმახინჯე, ალბათ, ისევ და ისევ იმ უწყების ბრალია, ვინც უფლებამოსილია ამ ბანკებზე ზედამხედველობა და მათი რეგულირება განახორციელოს, ანუ, ისევ და ისევ ეროვნულ ბანკს ვუბრუნდებით. ჩვენთან, საბანკო სექტორი მთლიანად იმპორტს და სესხებს ემსახურება და არა მშენებლობას, სოფლის მეურნეობას და ა.შ. საბანკო სექტორიც იმ ტემპებით უნდა ვითარდებოდეს, როგორც ეკონომიკის სხვა სექტორი. საბანკო სექტორი მოცულობით უნდა შემცირდეს.

— რაც შეეხება სავალუტო ფონდს, იგი 90-იანი წლებიდან მუშაობს საქართველოში. თქვენი აზრით, როგორია მისი, ასევე, მსოფლიო ბანკის გავლენა ამ პროცესებზე?

— პრობლემა სავალუტო ფონდი არაა. 1994 წელს, როდესაც სავალუტო ფონდი საქართველოში შემოვიდა, ჩვენი ქვეყანა დანგრეული იყო, აბსოლუტურად არაფერი არ გვქონდა, ფონდის რჩევებმა ქვეყანა ფსკერიდან ამოიყვანა. მათი ზედამხედველობით და რჩევებით შემოიღეს საქართველოში ეროვნული ვალუტა — ლარი. მათი სესხები აუცილებელი იყო იმისათვის, რომ სახელისუფლებო სტრუქტურები ჩამოყალიბებულიყო. ამის გაკარგვა უმადურობა იქნება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სავალუტო ფონდს თავისი მიზნები გააჩნია. მისი პირველი და უმთავრესი მიზანია, რომ ჩვენისთანა განვითარებადმა ქვეყანამ განვითარებულ ქვეყნებს პრობლემა არ შეუქმნას. მათ წესდებაში უწერიათ, რომ ისინი განვითარებად ქვეყანას ეკონომიკის განვითარებაში უწყობენ ხელს, მაგრამ თუ ამ ქვეყანამ განვითარებულ ქვეყნებს შეუშალა ხელი, სავალუტო ფონდი, რა თქმა უნდა, პრიორიტეტად დიდი ქვეყნების ინტერესებს დააყენებს. მოყოლებული 1994 წლიდან სახელმწიფოს მთავრობა, ხელისუფლება და ცენტრალური ბანკი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს შეეჩვია და პრაქტიკულად, საკუთარ აზროვნებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე უარი თქვა. აი, ეს არის ცუდი. ამის გამოძახილს დღესაც ვხედავთ — როდესაც გაგანია სავალუტო კრიზისი იყო, სავალუტო ფონდმა ეროვნულ ბანკს მხარზე ხელი მოუცაცუნა, კარგი ბიჭები ხართო, მთავრობას თითი დაუქნია და წავიდა, ახლაც არ ჩანს. ანუ, არ შეიძლება ყოველთვის სხვას ენდო, უნდა

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გქონდეს შენი ცოდნა, ჭკუა და დამოუკიდებლად იღებდე გადაწყვეტილებებს.

— ქალბატონო ლია, ლარის მკვეთრი გაუფასურება კვლავ სახეზე გვაქვს. პირველი აფეთქებისას ლარის კურსის გასამყარებ-

ლად ეროვნულმა ბანკმა არაფერი მოიმოქმედა. რამდენად ჰგავს ეს საბოტაჟს და დივერსიის განხორციელების რა მექანიზმები აქვს ეროვნულ ბანკს?

— **ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა და სავალუტო კრიზისი ესაა გენიალური საშუალება იმისათვის, რომ ქვეყანაში გამოიწვიო პოლიტიკური კრიზისი, მოახდინო სოციალური აფეთქება, უკმაყოფილო ხალხმა მოითხოვოს ვადამდელი არჩევნები, ამასთან განზე გადგე და თქვა: მე, არაფერ შუაში ვარ ეკონომიკაა ასეთიო. ეს სვლა, აბსოლუტურად, ხელეწიფებოდა ეროვნულ ბანკს.** არ ვიცი, იქ რა მოხდა, მაგრამ გარეგნულად როგორც ჩანს, ეროვნული ბანკის მიშვებულობის გამო საკმაოდ მძიმე შედეგები მივიღეთ არამარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური. ეს არ არის მხოლოდ სავალუტო კრიზისი, არამედ, სახეზეა პოლიტიკური, სოციალური და სამომავლოდ ეკონომიკური კრიზისი.

— სავალუტო კრიზისის დროს მოსახლეობა პანიკაში ვარდებახოლმე. ვინ ითბობს ამით ხელს?

— მოგახსენებთ. სავალუტო კრიზისის განვითრების მომენტში, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, მათ რაც დაგროვილი თანხები ჰქონდათ, ლარი დოლარში გადაახურდავეს, ხოლო რაც დოლარები ჰქონდათ ეგრევე, კომერციულ ბანკებში წაიღეს. ამ თანხამ დაახლოებით, 600 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს არის უზარმაზარი სახსრები. სავალუტო შემოდინებების პრობლემაც კი რომ ყოფილიყო, ეს იმდენად დიდი თანხებია, რომ კომერციულ ბანკებს თავს ზემოთ უნდა ჰყოფნოდათ. გარდა ამისა, ამ დროს, მათ სავალუტო ინტერვენციებით — 210 მილიონით ეროვნული ბანკი დაეხმარა. ანუ, პრაქტიკულად, კომერციულმა ბანკმა საქართველოს მოსახლეობიდან ფული ამოხვეტა. ეს თანხები სავსებით საკმარისია, რათა კომერციულ ბანკებს პრობლემა არ შეექმნათ. მათ ხვეწნა არც კი დასჭირვებიათ, ისე მიიტანა მოსახლეობამ კომერციულ ბანკებში თანხები. რა ხდება, მაშინ რატომ ვარდება ლარი? სავალუტო კრიზისის გაგრძელების ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება განხილულ იქნას კომერციული ბანკების სურვილი მოსახლეობიდან კიდევ ამოიღონ დარჩენილი თანხები და მათი თამაში ამ სავალუტო კურსზე შესაძლოა სწორედ ამ პროცესს ემსახურებოდეს. ამის გამორიცხვა არ შეიძლება იმიტომ, რომ რაც არ უნდა ბევრი თანხა მიიტანო კომერციულ ბანკში, მათთვის ყოველთვის არასაკმარისი იქნება და ისინი სიამოვნებით ამოსრუტავენ ეკონომიკიდან დამატებით ფულს. ეს კი, რა თქმა უნდა, ეკონომიკას უფულოდ ტოვებს. ეს ფული ქვეყნიდან გავა და აღარაფერი დარჩება. ამ კუთხით, საფრთხე დღეს, რეალურად დგას. კაპიტალი გადის ქვეყნიდან. კაპიტალის ძალიან სერიოზული გადინება ხდება. რატომ გარბის კაპიტალი? — იმიტომ, რომ ეკონომიკური კრიზისის ეშინია.

— ქალბატონო ლია, საუბრის დასაწყისში, დოლარიზაციის გაზრდის პრობლემაზე ისაუბრეთ. პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ დღეს ლარს მხოლოდ ერთი ფუნქცია შერჩა?

— აუცილებელია ლარი გადახდის ერთადერთი საშუალება იყოს, როგორც ეს კანონშია მითითებული. სამწუხაროდ, ლარს ხუთი ფუნქციიდან, ჩვენთან, მხოლოდ

ერთი ფუნქცია აქვს. რომ ამბობენ, მეტი უცხოური ვალუტა უნდა შემოვიდესო, ეს არაა სწორი. დიახ, ფული როგორც დაგროვების საშუალება, ეროვნული სიმდიდრე, ეს ფუნქცია დაკარგულია. ფული დარჩა როგორც ჩვეულებრივ გადახდის, თან წვრილმანი გადახდის საშუალება, თორემ მსხვილმან გადახდებზე ლარს არავინ იყენებს. არსებობს სპეციალური საკანონმდებლო ნორმები, მაგალითად, ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში წერია, რომ ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. ეს მარტო საკანონმდებლო ჩანაწერია, რეალურად, ეს ნორმა არ მოქმედებს. გარდა ამისა, ეროვნულ ბანკს აქვს სპეციალური ნორმატიული დოკუმენტი სავალუტო ოპერაციების განხორციელების შესახებ, რომელიც კომერციული ბანკებისთვისაა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ უცხოურ ვალუტაში გადახდების წარმოება თუ ეს გადახდები ექსპორტთან ან იმპორტთან არაა დაკავშირებული. ანუ, პრაქტიკულად, ნებისმიერი სესხი, ქონებაზე თანხის გადახდა ან ნებისმიერი ოპერაცია რომელიც არ ემსახურება ექსპორტს ან იმპორტს და განხორციელებულია უცხოურ ვალუტაში, უკანონოა. ნორმა არსებობს, მაგრამ არ სრულდება.

— თქვენ ინტერვიუს ჩაწერამდე ახსენეთ, რომ ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს ბლუმბერგის პლატფორმის მსგავსი რამ მოუწყო. რას გულისხმობდით?

— ბლუმბერგი ესაა სავაჭრო ინტერნეტ-სისტემა, პლატფორმა, რომელზეც ხელშეკრულების საფუძველზე, რაღაც სავალუტო ოპერაციების განხორციელება შეუძლიათ. ეროვნულმა ბანკმა ბლუმბერგს ხელშეკრულება დაუდო და კომერციულ ბანკებს ინტერნეტში ბლუმბერგის სერვერებზე ელექტრონული ვაჭრობის საშუალება მისცა. ანუ, პრაქტიკულად, სავალუტო ვაჭრობა ქვეყნიდან გაიტანა და გაურკვეველ ადგილას, სადღაც ინტერნეტში, ყალიბდება ეროვნული ვალუტის კურსი. ამასთან, ეროვნული ბანკი ამ სავაჭრო გარიგებების საფასურს თვითონ იხდის. რატომ? — არ ვიცი. თუ ეს კომერციული ბანკების ბიზნეს-პროცესია, საკითხავია, რატომ იხდის ეროვნული ბანკი ამის ფულს? გარდა ამისა, ამას თან მოჰყვება შემდეგი პრობლემა — ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს ნება დართო, სავალუტო გარიგებებზე ანგარიშსწორებები ბლუმბერგის სისტემაშივე განახორციელონ არა იმ საკორესპონდენტო ანგარიშებზე რომლებიც მათ ეროვნულ ბანკში აქვთ გახსნილი, არამედ იმავე სისტემაში. ანუ, ეროვნულ ბანკს უკვე მოაკლდა შესაძლებლობა გააკონტროლოს ნაღდად სრულდება თუ არა ეს გარიგებები? ნაღდად ხდება სავალუტო გარიგებებზე ფულის გადარიცხვა თუ ეს ფიქტიური გარიგებებია იმისთვის, რომ კომერციულმა ბანკებმა სავალუტო კურსზე ითამაშონ? ანუ, ეს პრობლემა სერიოზულად დგას. მიმაჩნია, რომ ბლუმბერგის სისტემა — ვიღაც კერძო პიროვნების მომსახურება ქვეყნის ეკონომიკის ვალუტის კურსის დადგენისას, ეს არამართებული და არამიზანშეწონილია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ბოლო ხანებში ბატონი რომან გოცირიძე ფრიად გააქტიურდა და ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით სულ კრიტიკის ცეცხლში ატარებს ხელისუფლებას.

როგორც ჩანს, ბატონ რომანს ჰგონია, რომ საქართველოს უკვე დაავიწყდა ის კოშმარი, რაც მას თავს სწორედ მაშინ დაატყდა, როცა პატივცემული გოცირიძე საქართველოს ბანკის პრეზიდენტი ბრძანდებოდა.

თუ ასეთი ჭკვიანი და მაღალი კლასის პროფესიონალი იყო გოცირიძე, როგორც ახლა გვაჩვენებს თავს, მაშინ, იმ ავბედით ჟამს, გამოეჩინა ეს პროფესიონალიზმი.

იმ ეკონომიკური გუნდის საქმიანობა, რომლის წევრიც ბატონი რომანიც გახლდათ, ცალკე კვლევის და ანალიზის საგანი გახდება ოდესმე და მაშინ გამოჩნდება ნათლად, რა გაუგონარი მასშტაბების დანაშაული იქნა ჩადენილი საქართველოს წინაშე, ახლა კი ის ლექსი გავიხსენოთ, რომელიც ბატონი რომანის „სამაგალითო“ მოღვაწეობის წლებში დაიბეჭდა და მის „გმირულ“ საქმეებს მიეძღვნა.

რომან გოცირიძეს

ხალხურ კილოზე

ათასად ლექსი დაფასდა,
ათიათასად რომანი,
ასიათასად რომანის
გაძრომა-გამოძრომანი.
ვალავისთან და მონროსთან
ღლაბუცობა და რომანი.
იგი კუპონის ძე არის,
ალკუპონეა გვარადა
გაგვაცამტვერა იმისმა
მონეტარულმა ბალადამ.
მილიონები დაგვადო
ხარკად, ღალად და ვალადა
საიდან გაჩნდა ჩვენს ჭირად,
რად აგვეკიდა შარადა:
— შემოიტანეთ მანეთი
ორს დაგიბრუნებთ ხვალეო
და აყვავდება უეცრად
გაჭირვებული მხარეო! —
ამბობდა ბიჭი რომანი,
ცრემლი სდიოდა მწარეო...
გაგვიკუპონა ცხოვრება,
ამ ალკუპონთა ვიცემა,
მიკვირს ძალიან, ეს კაცი
აქამდე რად არ იცემა.
რად შერჩა სხვისთვის საჩუქრად
ბევრი რაღაცის მიცემა?
ვალი გაქვს, ძმაო, რომანო,
ბებიების და პაპების,
გაგვაყიდინე სახლები
და დაგვიმშიე ბალღები.
ნუ გეჩვენება სულელად
დაბლებიცა და მაღლებიც.
სხვას მოუყევი, გეთაყვა,
ქათმის და კვერცხის ზღაპრები,
ჩვენს შორის მტყუანს ჩააკვდეს
სულში ვალავის ძაღლები.

ზეზვა ზვიადაური

დავით კოდუას ირიბად ახდენილი „ბავშვური“ ოცნებები

ციკლიდან: დოკუმენტური ფაქტები ლაურა ღაჭავას და მისი ოჯახური კლანის შესახებ

დავით კოდუა

ერეკლე კოდუას ძმა, ბიზნესმენი დავით კოდუა აბაშიძის ქუჩაზე 3 მაისს სცემეს. იგი სილამაზის სალონში 4 წლის შვილთან და ძიძასთან ერთად იმყოფებოდა. მას სახის არეში მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული. საქმის მასალების მიხედვით, კოდუას ნოშრევან ნამორაძე შურისძიების მოტივით გაუსწორდა.

გახსოვთ არა ეს ფაქტი?! ან რამ უნდა დაგვავიწყოს? ისიც ხომ გვახსოვს რომ ნამორაძე დააპატიმრეს? ისიც ხომ გვახსოვს რომ დიდი წვალებით ნამორაძე გაათავისუფლეს, უფრო სწორედ გირაოთი გამოუშვეს. და ამის შემდეგ რა მოხდა, გახსოვთ? არა, არ გემახსოვრებათ, იმიტომ რომ ამის შემდეგ არც არაფერი მომხდარა. რატომ? იმიტომ რომ პროკურატურაში ალბათ ფიქრობენ, ეს ამბავი მალე მიეცემა დავიწყებას და ძველი განცხადებებიც ისე დაძველდება, რომ მისი მომკითხავი არავინ იქნება...

რას ვიზამთ, პროკურატურაში ასე ფიქრობენ და ხომ ვერ შევედავებით?

„ბატონო დავით, მიუხედავად ჩემი არა ერთი განცხადებისა პროკურატურისა და გამოძიების ხელმძღვანელობისადმი ჩემი ოჯახის მიმართ მთელი რიგი კანონდარღვევების თაობაზე, სამწუხაროდ, არავითარი შედეგი არ გამოიღო და იძულებული ვარ მოგმართოთ საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელს, რათა შესაბამისი სამსახურების მეშვეობით ჩაერთოთ ამ კონკრეტულ საქმეში, აიყვანოთ საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე და დაავალოთ პროკურატურას დამნაშავე პირების მიმართ განახორციელოს ადექვატური ზომები.

ბატონო დავით, საკითხი ეხება ქალაქ თბილისში ფალიაშვილის ქუჩაზე 86 ნომერში ჩემს საკუთრებაში არსებულ 142 კვ.მ. ფართის ოთხოთახიან ბინის დამნაშავე პირების მიერ თაღლითური გზით შენობის დასაკუთრების, დანგრევის და თითქოსდა სამომავლოდ აშენებულ სახლში 450 კვ.მ. ფართის გადმოცემის შესახებ ფაქტს, რაც სინამდვილეში არ განხორციელებულა.

სახლი იყო სამსართულაინი, ძველი აშენებული, მეზობლებმა მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით რომ მოგვეძებნა ინვესტორი, რომელიც შესაბამისი შეთანხმების შემდეგ, დაანგრევდა აღნიშნულ საცხოვრებელ სახლს 707 კვ.მ. საეზოვე მიწის ნაკვეთით, დაახლოებით 500 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით.

2008 წლის დასაწყისში ჩვენთან მოვიდნენ ქალაქში ცნობიკლი ბიზნესმენი დავით კოდუა და მისი წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს აღნიშნული ბინების სანაცვლოდ ახლად ასაშენებელ მრავალსართულიან სახლში შესაბამისი ფართების გადმოცემა.

2008 წლის 12 მარტს დავით კოდუასა და ჩემს შორის გაფორმებულ იქნა სანოტარო ბიუროში ინდივიდუალური ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დავით კოდუამ აიღო პასუხისმგებლობა, რომ აღნიშნულ მისამართზე ააშენებდა მრავალსართულიან სახლს და გადმოგვცემდა პირადად მე 450 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს. შეთანხმებისამებრ 8 სართულიანი სახლის აშენების შემდეგ გადმოგვეცემოდა 450 კვ.მ. ფართი და დამატებით ავტოფარეხი ჩემი შერჩევით, ხოლო თუ საცხოვრებელი კორპუსი გახდებოდა 8 სართულიანი დამატებით გადმომცემდა 50 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს. საინიციატივო ჯგუფის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა დავით კოდუამ.

ყველა დოკუმენტი, მათ შორის შენობის დანგრევის ნებართვა მივეცი 2008 წელს. რატომღაც დავით კოდუამ, რომელიც გაფორმებული იყო ასაშენებელი სახლის გამგეობის (ამხანაგობის) თავმჯდომარედ, საკმაოდ გააჭიანურა სახლის დანგრევა, რაც ძირითადად განხორციელდა 2010 წელს.

ინვესტორმა საჭირო ფორმალური ხასიათის სამუშაოების შესრულების მიზნით მოითხოვა ვადა, ყველა საჭირო დოკუმენტის (პროექტის, სხვადასხვა ნებართვების და ა.შ. დამტკიცების ჩათვლით).

საინიციატივო ჯგუფმა დავით კოდუას ხელმძღვანელობით დაანგრია ჩვენი საცხოვრებელი სახლი, ხოლო დანგრეული სახლის მასალები გაასხვისა, რაზედაც არავითარი დოკუმენტი დავით კოდუას არ შეუდგენია. პირიქით შემდგომში აქეთ მოგვთხოვა 100 000 ლარი, რაც თითქოსდა დაუჯდათ სახლის დანგრევის ხარჯად, ხოლო დანგრეული სახლის მასალების გაყიდვა-გასხვისების ფაქტზე (რაშიც დაახლოებით 100 ათასი აიღო) ლაპარაკი არ სურდა.

ვინაიდან აღნიშნული მშენებლობის დაწყება ძალზე გაჭიანურდა, 2009 წლის 3 დეკემბერს, ჩემს მალულად, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობაში, დავით კოდუამ გაასხვისა სანოტარო ბიუროში თავისი წილი ვინმე ირაკლი ძაგანიაზე, ისე, რომ არც ერთი ვალდებულება ჩვენს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ შეუსრულებია. კოდუამ თავისი წილი გაასხვისა 250 ათას ლარად, რაზედაც ნოტარიუსში გადაიხადა 781 ლარი და სახელმწიფოს დაუმალა მნიშვნელოვანი გადასახადი.

როგორც ეხლა ვხვდები, ადგილი ჰქონდა ჩემს მიმართ თაღლითობის ჩადენის ფაქტს, ვინაიდან როგორც ჩანს, სახლის დანგრევა და თითქოსდა მის ადგილზე მრავალსართულიანი სახლის აშენება წინასწარ ჩაფიქრებული აფიორა იყო. ეს აზრი მით უფრო განმიმტკიცდა, როცა ჩემგან მალულად „ამხანაგობა-ფალიაშვილი 86“-ის ხელმძღვანელის მიერ 2011 წლის 12 აგვისტოს ჩატარებულა დამფუძნებელი კრება და მიუღიათ გადაწყვეტილება ამხანაგობის ლიკვიდაციის გამოცხადების შესახებ, რაღაც ახალი პირობების შეუთანხმებლობის მოტივით. ეს ოქმი ნოტარიული წესით იქნა დამოწმებული.

ესე იგი გამოდის თბილისში, ვაკეში, ფალიაშვილის 86-ში მდებარე ოთხოთახიანი ბინა, საცხოვრებელი ფართით 142 კვ.მ. რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს მინიმუმ 200 ათას აშშ დოლარს, თაღლითურად, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ანგარების მოტივით მიითვისა დავით კოდუამ და მისმა წარმომადგენლებმა და დაგვტოვეს საცხოვრებელი ფართის გარეშე. ამას რომ გააკეთებს დავით კოდუას ცნობილი ბიზნეს-კლანი სხვებისაგან რას უნდა ველოდოთ?

მე არ ვიცი სხვა მეზობლებთან რა სახის მოლაპარაკება აწარმოა დავით კოდუამ, ასევე საინიციატივო ჯგუფის წევრებმა და რაზე შეთანხმდნენ ან შეთანხმდნენ თუ არა, მაგრამ ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება აღმოჩნდა კარგად გათვლილი თაღლითობის სქემის ნაწილი, რაც დანაშაულად მიგვაჩნია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მე განცხადებით მივმართე საქართველოს მთავარ პროკურატურას და ქალაქის პროკურატურას, საიდანაც მასალები გადაიგზავნა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, ხოლო შემდეგ გამოძიების ჩატარების მიზნით დაეწერა ამავე რაიონის პოლიციის საგამოძიებო სამსახურს. ამ უკანასკნელმა ყოველგვარი გამოძიებისა და შემოწმების გარეშე, ისე რომ არც დაუკითხავს არც ერთი პირი, უარი განმიცხადა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, იმ მოტივით, რომ საქმე ეხებოდა სამოქალაქო ურთიერთობებს და საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო წესით.

გამოძიება არ დაინტერესებულა და არც დაუკითხავს ამხანაგობის ყოფილი თავმჯდომარე დავით კოდუა, არც ამხანაგობის ახალი თავმჯდომარე ირაკლი ძაგანია , არ დაუსვამთ მათთვის ჩემს განცხადებაში დასმული კითხვები და ასე ზეპირად მაცნობეს, რომ საქმის აღძვრის საფუძველი არ არსებობდა და დავა განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართალწარმოებას.

ბატონო დავით, მოგმართავთ თხოვნით, როგორც ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს პირველ პირს, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს მიიღონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები და მისცენ მითითება პროკურატურას ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება იმ დამრღვევთა თაობაზე, რაც განცხადებაშია დაფიქსირებული და დამნაშავე პირები მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.“

ეს განცხადება რომელსაც ხელს აწერს ნ.ჯაფარიძე დაწერილია 2012 წლის 10 მაისს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის დავით ბაქრაძის სახელზე.

ცხადია, განცხადებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

და ეს ხდება მაშინ როცა მედიცინის გზასაცდენილი პედიატრი ისაკუთრებს ქავთარაძეზე ე.წ. „ლეჩკომბინატს“ და თან ამაყად აცხადებს: „ექიმი კი ვარ, მაგრამ პროფილით არასდროს მიმუშავია. სხვათა შორის, ჩემი მედიცინასთან დამეგობრება სწორედ აქ, ე.წ. ლეჩკომბინატში დაიწყო, ამ შენობაში გაიხსნა ჩემი შრომის წიგნაკი. ვაკეში, მე-9 საავადმყოფოს უკან იყო 28-ე პოლიკლინიკა, სადაც 1987 წელს პირველად გაიხსნა სამკურნალო კომბინატი, იმავე წელს ქავთარაძის ქუჩაზე გადმოვიდა და პირველი ლენტი რომ გაიჭრა, პირველი სანიტარი ვიყავი. 80 მანეთი მქონდა ხელფასი. წელიწად-ნახევრის განმავლობაში ვიმუშავე. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი და პარალელურად აქ ვმუშაობდი. მე დავბრუნდი სამკურნალო დაწესებულებაში, ოღონდ სხვა სტატუსით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემთვის ირიბად ასრულებული ბავშვობის ოცნებაა“.

სამწუხაროდ, დავითის და მისი ძმების ირიბად ახდენილმა ბავშვობის ოცნებებმა ბევრ ადამიანს დაუნგრია ცხოვრება, თუმცა ძმებ კოდუებს და მათ დამფრთიანებელ დედიკოს ეს ამბავი სულაც არ აწუხებთ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №15

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

დედალი ქანდარაზე და ამუ „ნიბირუდან“

ერთ მშვენიერ დღეს ქართველი რომ გაიღვიძებს, ვთქვათ, კვირა დღეს ან დიდ ხუთშაბათს და საქართველოს თავდაცვის მინისტრი **თინა ხიდაშელი** დახვდება და ეს არ იქნება სიზმარი – დილით პირს რომ დაიბან და წყალს რომ ჩაარეცხინებ, არამედ ეს იქნება ფატალური რეალობა, რომელსაც საქართველო მიჰყავს ქარონის ხიდისკენ, საიდანაც ჯოჯოხეთის ნავში გადასვამენ და ეს ხიდი და ეს ნავი მომდგარია ჩვენს კარზე, როგორც გარდუვალი ბედისწერა...

ეს გრძელი წინადადება იმიტომ დავწერე, რომ **ფლასივით** ჩამომეფარებინა ქართველთათვის სახეზე, სასუდარედ რომ ამზადებენ!..

ქართველს ფლასს რომ დაანახებ, რომლითაც შეფუთვას და დაფლვას უპირებენ, შესაძლოა, საფლავიდან წამოდგეს!..

მაგრამ მე მეჩვენება: ჩვენ ისეთ მძინარებაში ვართ, ისეთი ნირვანის ძილ-ღვიძილის ბურუსი გვადგას, რომ ვერც ვერაფერს ვხედავთ, ვერც ვერაფერს ვგრძნობთ, ვერც ვერაფერი გამოგვაღვიძებს. არ ვიჯერებთ, რომ ქალაქში დადის კაცი, რომელიც ჩამოსულია თითქოს „ნიბირუდან“, თითქოს „მფრინავი თეფშიდან“ და შეუძლია ადამიანებს გამოუცვალოს სისხლი და აქციოს ცისფერსისხლიანებად. შეუცვალოს სქესი – მდედრისა და მამრის ფუნქციები შეუცვალოს!.. ყველგან და ყველაფერს მიაკრას „ნატოს“ იარლიყი, როგორც აპოკალიფსის აფიშა... მას უნდა და შეუძლია, რომ თინა ხიდაშელის „ნეკნით“ იომოს ქართულმა ჯარმა, მას სურს და შეუძლია, უსუფაშვილი სააკაშვილს შეერწყას და ამ „კლონმა“ მართოს საქართველო, მათ სურთ, რომ ღარიბაშვილს მარგველაშვილის ტვინი გადაუნერგონ... და ივანიშვილი საერთოდ გააძევონ საქართველოდან... და ასე შემდეგ...

ჩვენ, ბედკრული ერი, ვერაფერს ვგრძნობთ და ვერაფერს ვხედავთ! – ლარის კრიზისს ღარიბაშვილს ვაბრალებთ, ქვეყნის დაქცევას და ოკუპაციას – „ქართულ ოცნებას“, როგორც „ნაციონალებს“ უნდათ, ისე ვიქცევით!..

ყოველივე ამას მართავს და წარმართავს ის „მთვარიდან“ („ნიბირუდან“) ჩამოსული „ამუ“, რომელიც ცხადად დადის თბილისის ქუჩებში, საბავშვო ბაღებში, ასე განსაჯეთ, ზოგ ვინმეს ტუალეტშიც „აკონტროლებს“, რომ „ნატოს“ საწინააღმდეგო „მუსიკა“ არ დაწეროს:

„ესენი მუსიკას უნიტაზებზე წერენო და დიდრონი აზრებიც იქ უჩნდებათო“, – როგორც ერთი კრიტიკოსი ფიქრობდა ერთ დიდ კომპოზიტორზე!..

ეს ფრთხილი ანგლოსასქსი, ვგონებ, საფლავებსაც უთვალთვალებს, რომ პატრიოტმა მკვდრებმა არ გაიღვიძონ! მას შეუძლია საქათმეში შეიხედოს, რომ ქართულმა ქათამმა ორი განსხვავებული კვერცხი არ დადოს: რუსული და ამერიკული. დიახ, საქმე ასეა და კიდევ უფრო უარესად! ჩვენ ყველაფრის ღირსნი ვართ: რადგან გენური და ზნეობრივი ძალადობის ექსპერიმენტებად ვიქეცით კურდღლებივით.

დიახ, სწორედ თინა ხიდაშელი უნდა იყოს ჩვენი თავდაცვის მინისტრი, რადგან დასაცავიც აღარაფერი დაგვრჩა (როცა ქანდარაზე დედალი ჯდება, ეს ხიფათის მაუწყებელია) და ეს „დედალი“ „ამომ“ დაგვისვა.

დიახ, რაკი ივანიშვილი და სხვა ვინმე, გონიერი და ჭკვიანი კაცი არ გინდათ, სწორედ რიჩარდ ნორლანდი უნდა იყოს ჩვენი „რჯულის გამრიგე“, ჩვენი საფლავის დამცველი და იქიდან ამომთხრელიც; ამდენი „ყვავყორნების“, „ჰომო-ნოუსების“ და ჰომო სექსების, კენტავრი ლიბერასტების ბელადი და პატრონი.

დიახ, რაკი კაცი კაცადი არ გინდათ და არ გინდოდათ, არც ჭავჭავაძე გინდოდათ, არც გამსახურდია და კოსტავა გინდოდათ, არც აკაკი ბაქრაძე მოგწონდათ, არც პატარა კახი და თამარ მეფე...

აგერ, გყავდეთ და გედგეთ ახლა უსუფაშვილ-ხიდაშელების, სააკაშვილ-მარგველაშვილების „ბიუსტები“, იცეკვეთ მათ პიედისტალებზე...

ვიტყვი: რისი ღირსიც ვართ, ღმერთი თანდათან გვაძლევს იმას!.. და თანდათან გვართმევს ღირსეულკაცთ და კაცურ ღირსებას, რომელსაც არასოდეს ვაფასებდით – ვკლავდით და ვდევნიდით!..

ვნახოთ, ხვალ დილით კიდევ რომ გაგვეღვიძება, რომელი მამალი იყივლებს ჩვენს ქანდარაზე!..

კობა არაბული

ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები ამიერიდან უსუფაშვილების „საპალნაში“ გადაწყდება

– ვაშაააა! პირველად საქართველოში თავდაცვის მინისტრად ქალი გვყავს!

ქალი გვყავს და თანაც რა ქალი – თვით თინა ხიდაშელი!

ევროპაში ასეთი შემთხვევა ოთხი ყოფილა, თინა მეხუთეა, მაგრამ თინასთან ვერცერთი ვერ მოვა, თუნდაც იმიტომ, რომ იმ ოთხთაგან არცერთს არ ჰყავს ქმრად პარლამენტის თავმჯდომარე, ჩვენსას ჰყავს!

ქმარი – პარლამენტის თავმჯდომარე, ცოლი – თავდაცვის მინისტრი – ხომ მაგარია, ჰა!

– გიხაროდენ! ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს! ჩვენ აქაც პირველები ვართ!

ცუდია, რომ დავითის და თინათინის ვაჟები ჯერ არასრულწლოვნები არიან, თორემ იმათაც ხომ დანიშნავდნენ მინისტრებად და მთლად აშენდებოდა ოჯახი, თუმცა ყველაფერი წინ არის.

შვილებზე ჩამოვარდა სიტყვა და გამახსენდა, რომ მათი შვილები საქართველოში არ არიან – ამ ქაჯებს უნდა გაგარიდოთ, შვილებოო,

– თქვა დედა თინათინმა და სასწრაფოდ უცხოეთში გაგზავნა საცხოვრებლად და სასწავლებლად.

სხვათა შორის, შვილების აღზრდაზე ფრიად ორიგინალური კონცეფცია აქვს მამა დავითსაც, რომელმაც ასეთი

ბრძნული მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით – მთავარია, შვილები თავისუფალ მოქალაქეებად აღიზარდონ, მერე კი ვინც უნდათ ის შეიყვარონ – გინდ ქალი, გინდ სამშობლო.

ასეთი გლობალისტურ-კოსმოპოლიტური ხედვის პარლამენტის თავმჯდომარე გვყავს ჩვენ, რომელიც, თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, სწორედ 9 აპრილს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში და რომ არა ბედის სიმუხთლე (სსრკ-ს დაშლა) პარლამენტის თავმჯდომარე კი არა ცეკას მაღალჩინოსანი იქნებოდა ახლა, მიხეილ სააკაშვილთან და დემოკრატებად გადანათლულ სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად.

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრს, როგორც ამბობენ, ეს ის ქალბატონია, რომელმაც ბრძანა: – აფხაზეთს საქართველოს ტერიტორიად ვერ განვიხილავო.

ასეთი რამ პუტინს და ლავროვსაც კი არ უთქვამთ, ხიდაშელმა კი თქვა და მისმა პარტიამაც კვერი დაუკრაო – ამტკიცებენ მავანნი და მავანნი.

თუ აფხაზეთს საქართველოს ტერიტორიად არ მოვიაზრებთ, მაშინ თავდაცვის სამინისტრო და ქართული ჯარი საერთოდ რისთვის გვჭირდება?

რა თქმა უნდა, ცუდია ეს ყველაფერი,მ სამაგიეროდ, კარგი ის არის, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი ცოლ-ქმარი არიან და ქვეყნისთვის სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად აღმა-დაღმა სირბილი სულაც არ დასჭირდებათ – პირდაპირ საწოლში გადაწყვეტენ ყველაფერს!

მოკლედ რომ მოვჭრათ, ქვეყნისთვის საჭირბოროტო პრობლემა ამიერიდან უსუფაშვილების „სპალნაში“ გადაწყდება, რომელიც პარლამენტის და კანცელარიის ფუნქციებსაც შეითავსებს ნაწილობრივ.

ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-15

რა მოხდა კოლხეთში?

მსოფლიო დაარწმუნეს, რომ ვითომ კოლხმა მედეამ მამას და სამშობლოს უღალატა, ბერძნებს ოქროს საწმისი გაატაცებინა, მაგრამ ასე რომ არ ყოფილა, თვით „ისტორიის მამად“ აღიარებული ჰეროდოტეს უძველეს და უნიკალურ ნაშრომებშია დაფიქსირებული – არგონავტებმა მედეა მოიტაცეს!

აი, რას წერს ჰეროდოტე თავის ცნობილ „ისტორიაში“ (წიგნი, „კლიო“): – „ელინებმა უსამართლობა მეორედ ჩაიდინეს. გრძელი ხომალდით მისცურეს აია-კოლხიდაში, მდინარე ფაზისთან და იქ გააკეთეს ის, რისი გულისთვისაც მივიდნენ, მოიტაცეს მეფის ასული მედეა. კოლხთა მეფემ გააგზავნა ელადაში მოციქული, რომ მოეთხოვა სამართალი მოტაცებისთვის და უკან გამოეთხოვა ასული; ხოლო ელინებმა უპასუხეს, რომ არც მათ უგიათ პასუხი მათ წინაშე არგოსელი იოს მოტაცებისთვის და ამიტომ არც თვითონ აპირებენ, რომ მისცენ მათ რაიმე...“

ჰეროდოტე მედეას მოტაცების ამბავს ასე აგრძელებს: – „ამბობენ, რომ მეორე თაობაში ამის შემდეგ, ალექსანდრე პრიამოსის ძემ ამის მოინდომა რომ თავისთვის ელადადან მოეტაცა ქალი. მან კარგად იცოდა, რომ არ მოუხდებოდა პასუხისგება, რადგან არც იმათ უგიათ თავის დროზე პასუხი. ასე მოიტაცა მან ჰელენე... ტროელებმა თავი იმით იმართლეს, რომ შეახსენეს ელინებს მედეას მოტაცება... ელინებმა კი ერთი ლაკედემონელი ქალის გულისთვის დიდი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ მივიდნენ აზიაში და პრიამოსის ძალაუფლება დაამხეს...“

ანუ ჰეროდოტე მოგვითხრობს პარის პრიამოსის ძის (ალექსანდრეს) მიერ ელენეს მოტაცებაზე და ამ ამბიდან გამომდინარე დაწყებულ ბერძენ-ტროელთა ომზე, რაც ტროას უძველესი კულტურის დამხობით დასრულდა... თუმცა, ტროელები იყვნენ პროტოქართული, პელაზგური წარმოშობის ხალხი! (ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავი კვლევები)

ერთი რამ, ფაქტია, სწორედ „ოქროს საწმისის“ ელადაში ჩატანას უკავშირდება იმ ძველი ბერძნული ცივილიზაციის რენესანსი რომლითაც ასე აღტაცებულია მთელი კაცობრიობა, არადა, ძველი ბერძნული ცივილიზაცია სწორედ კოლხეთიდან გატაცებულ სიბრძნეზე აღმოცენდა...

მოკლედ რომ ვთქვათ, გამოდის, ბერძნებმა პროტოქართული ცივილიზაციის ნანგრევებზე ააშენეს თავიანთი კულტურა და იმავდროულად ისტორიაც საფუძვლიანად გააყალბეს!..

ისიც გაირკვა, რომ მედეას არც შვილები მოუკლავს, თუმცა ევრიპიდემ რატომ გაავრცელა ეს ისტორიული მნიშვნელობის ჭორი, მხოლოდ ქალთმოძულეობის გამო თუ მოსყიდულიც იყო, გაურკვეველია; ასევე, აპოლონიოს როდოსელი რატომ ცრუობდა. ფაქტად დარჩენილი ის არის, რომ მედეას შვილიშვილი ილოსი იყო ქალაქ ილიოსის (ტროას) დამაარსებელი და ბებიისგან იცოდა სასიკვდილო შხამების დამზადება, თუმცა უარით ისტუმრებდა ისრის წვერზე მომაკვდინებელი შხამის წასასმელად მისულ ცნობილ მთხოვნელებს...

რა მოიტაცეს ბერძნებმა, „ეფუთი“?

გავიგეთ, რომ ბერძნებს მედეა მოუტაცებიათ, მაგრამ მისი მოტაცებით რეალურად რა გაიტაცეს, კოლხთა სიბრძნის წიგნი, „ეფუთი“ ხომ არ იყო, რომელიც დაკარგულად ითვლება?

დიდი ნინა მარგალური გომორძგუა მარგალეფი!

ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოს მდგომი ვარაუდის დონე შეიძლება ეწოდოს იმ მდგომარეობას, რაც „ეფუთსა“ და „ანანუკთან“ დაკავშირებითაა შექმნილი, რომ ეს ერთი და იგივეა.

იაზონი ოქროს საწმისით ბრუნდება. აპელიური (თიხის ჭურჭლის მხატვრობა. ძვ.წ. 340-330)

კოლხებს ბიბლიამდე სიბრძნის ხუთი წიგნი ჰქონდათ: „ეფუთი“ – 7 000 წლის (ათი მცნება „ეფუთში ეწერა); „მარგალითი“ – 7 000 წლის; „ტოშფა“ – 3 500 წლის; „ტაბუ“ – 3 500 წლის; „კვიბრი“ (იგივე „ოქროს რინა“) – 3 5000 წლის. როგორც გადმოცემამ შემოინახა, ეფუთი იყო საკაცობრიო ნამოღვაწარი, მასში გადმოცემული იყო წარსული და მომავალი, როგორც მასში ეწერა, ისე სრულდებოდა ყოველივე (უცნაურად „ემთხვევა“ 4 000 წლის შემდეგ შექმნილი ბიბლია დაკარგულ „ეფუთს“...).

ვინაიდან საუბარია „ოქროს საწმისზე“, არსებობს ვარაუდი, რომ ბერძნები ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლოს გასატაცებლად იყვნენ ჩამოსულები, დამწერლობა კი, რომელითაც იყო შესრულებული, იყო ერთადერთი ნიმუში კიდევ უფრო ძველი კოლხურისა, რისი წაკითხვაც მხოლოდ მედას შეეძლო. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდიც, რომ მედეას რადგან რეალურად არ მოუკლავს თავისი ორი შვილი, დამალა ორი ასო, რომლის ამოკითხვის გარეშეც სრულად არ გაიხსნებოდა „საწმისი“. კვლავ ვარაუდის დონეზე – ადგილი, სადაც „ოქროს საწმისი“ ინახებოდა, მდებარეობდა იმერეთში და ეს არის ხვამლი, იდუმალებით მოცული მთა. პრომეთეს მიჯაჭვა მთაზე ერთი ერთზე მეორდება ამირანთან. პრო-მეთე – „მეთე“ ცოდნას ნიშნავს, ანუ საუბარია რაღაც საკრალურ ცოდნაზე რომელსაც ფლობდნენ პროტოქართველები.

ფრესკოს დისკო

ევროპა – ოროფაა?

ქართული წარმართული ეპოქა 7 000 წელიწადს ითვლის. თვით სიტყვა „წარმართიც“ კოლხურია, „სწორად ხედვას“ ნიშნავს და მომდინარეობს აიეტის „ოქროს რინას“ (ჟამის, ხანის, ეპოქის) ა– „ოქროს საწმისის“ კანონებიდან, რომელსაც შემდგომში „რომის სამართალი“ დაეყრდნო. საიდან? აიეტის დის, კირკეს მეშვეობით, რომლის ქმარი იყო ლათინი, მათი შვილი კი რომის იმპერიის შემქმნელი – რომული. კირკემ და ლათინმა შექმნეს ლათინური ენა, რომელშიც 5 000 კოლხური (მეგრული) სიტყვაა შესული.

სხვათაშორის, 2007-2008 წლებში გამოვიდა პროფესორების, მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეული, „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“. ავტორები აღნიშნავენ, რომ მეგრული ლექსიკა-სიტყვობრივი მარაგი 100 მლნ-ზე მეტია, აქედან ზმნურ ფორმას განეკუთვნება 99,9 % – დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! აქამდე, ყველაზე მდიდარი ლექსიკის ენად მიჩნეულ ინგლისურ ენაში მხოლოდ 600 000-მდე სიტყვას ითვლიან...

გია კვაშილავას, ძაძამიების, ვახანიას აღმოჩენები და შმიდტის გიობეკლი-თებეს (თეფეს) არქეოლოგიური გათხრების შედეგები მიმართულებას მთლიანად უცვლის მსოფლიო მეცნიერების განვითარებას. ეს ისეთი რანგის ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენებია, რაგინდ დროში დააყოვნონ გამიზნულად, ერთხელაც აუცილებლად მოუწევთ ამ აღმოჩენების აღიარება მოწინააღმდეგე მსოფლიო მეცნიერებას – ეს აქსიომაა!

კონტინენტ „ევროპას“ სახელი პირდაპირ არის დაკავშირებული მეფის ასულ ოროფას სახელთან, რომელიც „ძე-მ“ („ძე-უსი“), კოლხების ერთი ნაწილის, პელაზგების ღმერთმა გაიტაცა და ჩაასახლა კუნძულ კურატზე (ამჟამინდელი კრეტა) იმ მიდამოებში, რომელსაც კოლხური სახელი „გორდი“ ერქვა და დღემდე „გორდი“ ჰქვია. კრეტა ძირძველი კოლხური მხარეა, კურატო – კრეტის კუთვნილი პატარა კუნძული, რომელსაც ათასწლეულების შემდეგაც, დღემდე „კოლხითი“ („კოლხეთი“) ჰქვია – ამაზე მიუთითებენ იქაური სამგზავრო (ტურისტული) ბიუროს მასალები. „ოროფა“ კოლხური სიტყვაა და „სიყვარულს“ ნიშნავს...

კუნძულ კურატო-კრეტაზე მდებარე ქალაქ ფათის-ფაისთის მიდამოებში იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ 1908 წელს აღმოაჩინა თიხისგან გამოძერწილი უძველესი მრგვალი ფირფიტა. ნაქალაქარის ძველთაძველი სახელია „ფათი“, რომელსაც შემდგომში უცხოელები მოიხსენიებდნენ „ფაისტოს“ სახელით. იმავე წელს კვლავ აღმოაჩინა პერნიემ თიხის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა, რომელიც საუკუნის შემდეგ გაიშიფრა. ქართველმა მკვლევარმა, გია კვაშილავამ წაიკითხა ოქროს ტვიფრით (ყალიბით) შესრულებული მსოფლიოში პირველი ბეჭდური დამწერლობა კოლხეთის დედა-ღვთაების ნანაიასადმი მიძღვნილი ნახატ-ნიშნებით შესრულებული საგალობელი.

ძველბერძნული მითოსიდან ვიცით, რომ მზის ღვთაება „რა-ს“, ანუ ჰელიოსს ბერძნულად სამი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავდა (რატომ იწოდება „მზის შვილად“?). უუფროსს აიეტი ერქვა და კოლხეთის მეფე იყო; მომდევნო, ავგიე (კოლხურად – „მანათობელი ვარსკვლავი“) ეგვიპტეში მოღვაწეობდა; შემდეგი იყო ცირა (კირკეა-ბერძ); ქალიშვილი პასიფეა (კუნძულ კრეტას მრისხანე გამგებლის ცოლი) და ბოლოს ძმა – ფაეთონი, ანუ ფაეთუსა. ძვ. წ. აღ-ის დაახლოებით 1450 წელს ავგიეს ეგვიპტელებმა აქცინიუსი – „მანათობელი“ უწოდეს, ხოლო ავგიემ ეგვიპტის მეფეებს შეარქვა კოლხური სახელები: ფა-რა-ონი, ანუ „მარგალის“ (მარი-გალი) ენაზე „ფა“ – ფული, სიმდიდრე; „რა“ – მზის ღმერთი; ონი – ნოეს მიერ აშენებული ქალაქი. რამზე – „რა“ – მზე, „მზე“ არის „რა“... ჰეოფსის პირამიდის კედლებზე ამოკვეთილია კოლხური და ხეთური ორნამენტები, ხოლო მთავარ შესასვლელში ამოკვეთილია ქართული ასომთავრული „რა“ – მზის სახელი.

გიობეკლი-თეფე

გერმანელმა არქეოლოგებმა (კლაუს შმიდტის ხელმძღვანელობით) თანამედროვე თურქეთის სამხაღმოსავლეთით, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებთან, გიობეკლე-თეფეს მიდამოებში, ჭიპლარის (ჩუპას მთაზე, „ჩუპა“ – მეგრულად „ჭიპი“) მთაზე აღმოაჩინეს ნეოლითის ხანის 11 000 წლის წინანდელი ეკლესიატაძრები. როგორი წარმოსადგენია რომ „ველურები ველურთა შორის“ აგებდნენ ტაძრებს? განსაკუთრებით ძნელი წარმოსადგენია რომ ნეოლითის ხანის ველურებს დამწერლობაც ჰქონოდათ, არადა, ისეთი სიმბოლოებია აღმოჩენილი, რომელიც დამწერლობას ჰგავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტაძარი იდეალურ მდგომარეობაში იყო შემონახული არქეოლოგებისთვის.

არქეოლოგებმა გათხარეს ოთხი წრიული ნაგებობა რომელთა კედლების გასწვრივ და ცენტრში აღმართული იყო თითქმის 4 ათეული



გიობეკლი-თეფე

20-ტონიანი მონოლითური სვეტი რუსული T–ს ფორმის. მკვლევარების თქმით, ყველაზე მსხვილი ცენტრალური მონოლითები ჰგვანან სტოუნჰენჯის ქვის ფილებს, მაგრამ ისინი 6 000 წლით ხნიერია.

მეცნიერების შეფასებით, მიწაში ჩამარხული კიდევ ორ ასეულამდე ქვის სვეტი ასევე შემკობილია სიმბოლოებით. ნეოლითი ის ხანაა, როცა ადამიანებმა არ იცოდნენ არც მიწათმოქმედება, არც მესაქონლეობა და ასე დახვეწილად და ლამაზად კი

ფუტი

„წერდნენ“? „როგორც ჩანს, მეცნიერებს მოუწევთ ხელახლა გადაწერონ ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები“ – აღნიშნა ა. ვოლკოვმა.

სვეტებზე გეომეტრიული სახეები და ცხოველების ფიგურები უფრო მეტია, ვიდრე ორნამენტი. ვარაუდობენ, რომ მათი გრაფიკული კომბინაციების მიღმა იმალება სიტყვები და ფრაზები. შმიდტი მიიჩნევს, რომ წარწერები შეიცავს მხოლოდ იმ ხალხისთვის გასაგებ რაღაც გზავნილს, ანუ საქმე გვაქვს ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან, რაც აბსოლუტური გადატრიალებით ემუქრება ისტორიულ წარსულს, ფაქტებს და მოვლენებს.

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიებზე, ერაყში, სირიაში, პალესტინაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში და სხვა ტერიტორიებზე იმ უძველეს ეპოქაში ცხოვრობდა ოცდაათზე მეტი კოლხი ტომი (ისტორიაში სხვა ტომები და ხალხები გარდა კოლხპელაზგებისა, ამ ტერიტორიებზე არ ჩანს); გარდა ამისა, პირველყოფილი საზოგადოებისა და ამ საზოგადოების ბოლო დროიდან, სხვადასხვა ტომები ურთიერთდაპირისპირებული იყვნენ და მათ გაერთიანებული ძალით საერთო ეკლესია-ტაძრების, მრავალტონიანი ქვის სვეტებით ერთიანი სალოცავის შექმნა არ შეეძლოთ...

სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენი

სხვადასხვა ორდენების შესახებ, ალბათ, ყველას სმენია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ ორდენის ჩამოყალიბებას მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად წოდებულ ქვეყნებში (ეგვიპტე, შუამდინარეთი – კოლხური ცივილიზაცია) შექმნილი ფუსტელთა სამხედრო-სარწმუნოებრივი ორდენი იყო. „ფუსტელობა“ იყო კასტა, რომელსაც სატაძრო ქონების დაცვა ევალებოდა.

ფუტიეთი ფუ(ს)ტის რაინდების უძველესი და მთავარი ფორპოსტი იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთში. ფუტიელების მეომარ ტომს არაერთხელ ახსენებს ბიბლიის ძველი აღთქმა. „ფუტ(თ)ი“ ბიბლიური ნოეს შვილიშვილი იყო თუმალთან და მოსხთან ერთად. „ფუტიელი“ ძველი აღთქმის გარდა მოიხსენიება ძველ ეგვიპტურ, ხეთურ და ძველ ბერძნულ წყაროებში, თუმცა ბერძნული „ფუსტის“ სახელით მოიხსენებს. ფუტები ქრიასტიანები იყვნენ წმინდა ანდია პირველწოდებულის დროიდან.

ვახტანგ გორგასალმა საქართველოში ფუსტელთა ორდენი ჩამოაყალიბა როგორც ქრისტიანული ეკლესიის და მონასტრების დამცველი გვარდია.

არსებობს ვერსია, რომ კოლხეთში არგონავტების შემოსვლის ეპოქაში, როცა გაბატონებული იყო მზის თაყვანისცემა, ამ რელიგიის კანონიკით, ფუტიეთი, სიხამთის „ნაეკლესიავთ“, კოლხთა ქვეყნის უმთავრეს საკულტო ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო უმაღლესი ქალ-ღვთაების ფუტი-ს (ფასიანეს) ტაძარი, სადაც მთავარი ქურუმი იყო თვით მზის შვილის, აიეტის გრძნეული ქალიშვილი მედეა, რომლის ხელშეწყობით გაიტაცეს ბერძნებმა „ეფუთი“, მელითონეობის წიგნი, იგივე „ოქროს საწმისი“.

სხვათაშორის, ფუ(ს)ტელთა თეოგეოგრაფიული მხარე, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც ინარჩუნებდა ძველ ფუნქციას და გარეშე მტრების შემოსევების დროს საეკლესიო-სამონასტრო ქონების დაცვა-გადარჩენაზე ზრუნავდა მთაში გახიზვნით. 1819-1820 წლებში საეკლესიო აჯანყების დროს ფუ(ს)ტის რაინდთა გმირული თავგანწირვით სვანეთში გაიხიზნა 280 ჯორკიდებული საეკლესიო განძი. 1820 წლის 30 მაისს სოფელ ზემო საზანოში (ისტ. სკან-დე) განძის გადატანას შეეწირა 700 ფუსტი რაინდი, ხოლო 1820 წლის 3 ივნისს სოფელ ფუტიეთში – 2000 ფუსტი რაინდი.

ფუსტის რაინდთა ნაკვალევი „თამარის გზის“ სახელითაც იწოდება. იგი იწყება ზემო იმერეთში სოფელ საზანოს გავლით, გაივლის საჩხერეს და მთავრდება სვანეთში. სვანეთში დღემდეა ქრისტიანული კანონიკით აგებული და უძველესი ქრისტიანული ხატებით, ჯვრებითა და ფრესკებით შემკული ფუსტის ტაძრები, ტერმინი „ფუსტი“ კი „უფლის“ სინონიმად მოიაზრება.

„გრაალისა“ და „ოქროს საწმისის“ ერთ-ერთი ვერსია

„გრაალი“ მატერიალური გამოვლინებაა ალისა, რომელიც სამყაროს გულშია, ასევე ადამიანისა და დედამიწის გულში. ზვიად გამსახურდია ძირ „გრ-ს“ იბერიული კულტისთვის დამახასიათებლად მიიჩნევდა. „გრ“ ძირია სიტყვისა „ვიგრი“, რაც ნიანგს ნიშნავს. ნიანგი მაიასასა და ეგვიპტელების მიხედვით თავდაპირველი სულია, ყოვლის შემოქმედი, ანუ

ვალენსიის ტაძრის წმინდა გრაალის სამლოცველოში დაბრძანებული გრაალის თასი

„ათონ“ (ტოპონიმი „ახალი ათონი“ ნიშნავს მის გამოვლინებას ჩვენს ტერიტორიაზე მესამე ათასწლეულში).

წმინდა სულის სიმბოლოა შუაცეცხლი, ასევე მარადიული ცეცხლი, რომელიც შემთხვევით არ არის ხუთქიმიან ვარსკვლავში ასთებული; თავის მხრივ, ეს ვარსკვლავი ექვსქიმიანი ვარსკვლავის ცენტრში მოიაზრება – სწორედ ეს ექვსქიმიანი ვარსკვლავია გრაალი. ის ორი სამკუთხედის, ქალურისა და მამაკაცურის ერთიანობის, ჰარმონიის, ასევე, გულის ჩაკრის სიმბოლოა.

გული აერთიანებს მარჯვენა-მარცხენას, ქალურს– მამაკაცურს, ზემო და ქვემოს, ანუ აზროვნების და ნებელობის სფეროს. ფილიპეს აპოკრიფულ სახარებაშია ფრაზა: – „როდესაც თქვენს თავში გააერთიანებთ მარჯვენას მარცხენასთან, ზემოთას – ქვემოთასთან, თქვენ გახდებით ღმერთის დარი.“

„ოქრის საწმისიც“ ქალურისა და მამაკაცურის ერთიანობაა და მაიას კალენდართან კავშირშია. მაიას კალენდრის თითოეული ნიშანი ჯვარს წარმოადგენს, სადაც ცენტრში დგას ოციდან ერთ-ერთი ნიშანი და მასში იკრიბება მარჯვენა-მარცხენა, ანუ მამაკაცური და ქალური, მაგრამ „ზემო“ და „ქვემოს“ ნაცვლად წინა და უკანა მხარეები, რაც იგივეა, რაც მომავალი და წარსული, „ოქროს საწმისის“ (ანუ „შამბალა“) შესაკრებელი.

როდესაც „გრაალზე“ ან „ოქროს საწმისზე“ ამბობენ, რომ ის ქალურ-მამაკაცურის ერთობაა, ეს მხოლოდ ჭეშმარიტების ნახევარია. ისმის კითხვა: რატომ ჰქვიათ მათ სხვადასხვა სახელები თუ ერთსა და იმავეს გამოსახავენ? საქმე იმაში გახლავთ, რომ ისინი მართლაც ერთსა და იმავეს გამოსახავენ მხოლოდ სივრცესა და დროსთან მიმართებაში.

„სოლომონის“ ანუ ექვსქიმიანი ვარსკვლავი უკავშირდება სივრცეს, ტაძარს, ხოლო „ოქროს საწმისის“ დროს „უკან“ წარსულია, წინ – მომავალი.

დრო ეთერული ფენომენია, ამიტომ ქრისტეს ეთერული გამოვლინება, რისი ნიშნებიც უკვე დიდი ხანია არსებობს, უნდა მოხდეს ტერიტორიულად საქართველოში. (ერთ-ერთი მაგალითი – 2009 წლის 28 ივლისს მოხდა წარმოუდგენელი ელექტრული განმუხტვები სამი სფერული ელვის სახით თეთრიწყაროს რაიონში –ესფეროები სასწაულ ნაპერწკლებს ყრიდნენ ხატებზე. მეცნიერები არ თუ ვერ ხსნიან რა მოვლენა იყო ეს...)

დროის შესაკრებელია ფ-ასი („ფასი“ შესაკრებელს ნიშნავს), ხოლო სივრცის შესაკრებელია თ-ასი, ამგვარად, დროისა და სივრცის კრედო აქ არის, საქართველოს ტერიტორიაზე.

ფ+თ(ასი)= „ეფუთი“ – დედამიწის მთავარი წიგნი, ხოლო „ასი“ არის ასო „რაე-ს“ ციფრობრივი მნიშვნელობა, იგივე მზის, მაგრამ მთავარის ენერგიაც რომ აქ იკრიბება ამაზე მიუთითებს სიტყვა „ჰეკატა“, რომელიც „ას-ს“ ნიშნავს და მთავარის სამსახოვანი ქალღმერთია – აწმყო-წარსული-მომავალი. ამ იდუმალების დანახვა ფიზიკური თვალით შეუძლებელია, საჭიროა გონი და თანაც ქართველის გონი ანუ ჰბერ, რომელიც სულხან-საბას მიხედვით ნიშნავს „გონს“.

ძველი კოლხური ცივილიზაცია – დახურული თემა

1975 წელს ჟურნალ „Ðãõíèêà ìîëîäæè“ №6 გამოქვეყნდა მრავალი წლის განმავლობაში გაუშიფრავი ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე დრანგიმ. ტექსტის შესახებ ინგლისელმა პროფესორმა ჟეკობ ჰარისონმა განაცხადა, რომ ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა მასზე, გამოიჩინა დიდი სიჯიუტე და ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, ვერ გაშიფრა. სამი თვეში თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ჟურნალს გაუგზავნა ძველი ქართულ-იბერიული დამწერლობის განვითარების შედარებითი ტაბულა, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში.

ТЕКСТ ИБЕРИЙСКОЙ НАДПИСИ, ПРОЧТЕННОЙ Ш. В. ХВЕДЕЛИДЗЕ
Скорбу имя: иберийский, древнегрузинский, русский тексты.
1. Бог Бог Всемогущ: Бог Бог: Всемогущ: Бог: Бог: Создатель: Небо Бог
Достаются нам судьбы горная и тяжелая. Во времена по календарю детей Сабо в 4100 году¹ суе
окружно земля содержащего.
№101 ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ
2. Небо Небо: Небо Бог: Небо Бог Бог: Небо: Бог Бог: Небо: Бог Бог: Небо Бог
Вокруг все замерзло, точно так, содержалось с кровом, точно так. Такова действительность,
добавка наблюдательная.
3. Небо Вселенная: Бог Бог: Бог Бог: Бог: Бог:

სახელმწიფო გადატრიალება აშშ-ში იმიტომ არ ხდება, რომ იქ არ არის აშშ-ს საელჩო

ნიკოლას დევისი

„აშშ არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც არასოდეს ერევა სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებშიო“ – თქვა საქართველოს თავდაცვის მინისტრაად დაყენებულმა თინა ხიდაშელმა.

ნიკოლას დევისი, ბრიტანელი ჟურნალისტი ამბობს (www.alternet.org – შემოკლებული ვარიანტი): – „2004 წელს, მას შემდეგ, რაც აშშ-ის ძალისხმევით დაამხეს ჰაიტის პრეზიდენტ ჟან ბერტრან არისტედის რეჟიმი, არისტიდის ადვოკატმა აირა კურზბანმა მაიამიში სიტყვით გამოსვლისას დასვა კითხვა: – რატომ არასდროს ხდება სახელმწიფო გადატრიალება ვაშინგტონში?“ და თვითონვე უპასუხა: – „იმიტომ, რომ ვაშინგტონში არ არსებობს აშშ-ის საელჩო!“ ადვოკატის ამ სიტყვებს ტაშით შეხვდნენ ის ადამიანები, რომლებიც მიხვდნენ რას გულისხმობდა კურზბანი.

უკრაინის უშიშროების ყოფილმა შეფმა ალექსანდრე იაკიმენკომ განაცხადა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები, რომლებმაც უკრაინის კანონიერად არჩეული ხელისუფლება დაამხეს, თითქმის ცხოვრობდნენ აშშ-ის საელჩოში. მასალებიდან, რომელიც გავრცელდა, ვიცით, რომ ამ ადამიანებს მართლაც მჭირდო ურთიერთობა ჰქონდათ აშშ-ის ელჩთან უკრაინაში ჯეფრი ჰაიეტთან და აშშ-ის ხელისფულების მაღალჩინოსნებთან, რომელთა შორის იყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპისა და აზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდი.

თუ უკრაინაში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას ისტორიულ კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აშშ-მა 1953 წლიდან მოყოლებული, სულ მცირე, 80-ჯერ მოახდინა წარმატებელი თუ წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უცხო ქვეყნებში. ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც დუაიტ ეიზენჰაუერმა ირანის მაგალითზე დაასკვნა, რომ „ცსს-ს“ შეუძლია დაამხოს არჩეული ხელისუფლება, რომელიც უარს ამბობს თავისი ხალხის მომავალი დასავლეთის ინტერესებს შესწიროს.

აშშ-ის მიერ მოწყობილი გადატრიალების შემდეგ დაიწყო იმ ქვეყნებში სასტიკი რეპრესიები, ადამიანების მოტაცება, გასამართლება გამოძიების გარეშე, წამება, კორუფცია, საშინელი სიღარიბე, უთანასწორობა...

მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი ნოამ ჩომსკი ამ თემაზე დაწერილ წიგნებს შორის საუკეთესოდ მიიჩნევს უილიამს ბლუმის ნაშრომს „იმედის მკვლელობა“ ამერიკელი სამხედროებისა და ცსს-ს ინტერვენცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ (Likking Hope:US Military and Cia Interventions since World Warll)

ისტორიულ კონტექსტს იმისა, რასაც კითხულობთ და ხედავთ ტელეეკრანზე უკრაინის შესახებ, „იმედის მკვლელობა“ მოგცემთ. ეს სათაური, როგორც არასდროს, ისე მიესადაგება დღევანდელობას, როდესაც ვხედავთ, რომ უკრაინის ყველა რეგიონის მოსახლეობის იმედი ეწირება იმ მიზნებს, რომელთა გამოც თავის დროზე დაზარალდნენ შემდეგი ქვეყნების ხალხები: ირანი (1953); გვატემალა (1954); ტაილანდი (1957); ლაოსი (1958-1960); კონგო (1960); თურქეთი (1960, 1971, 1980); ეკვადორი (1961 და 1963); სამხრეთ ვიეტნამი (1963); დომინიკის რესპუბლიკა (1963); არგენტინა (1963); ჰონდურასი (1963 და 2009); ერაყი (1963 და 2003); ბრაზილია (1964); ბოლივია (1964, 1971 და 1980); ინდონეზია (1965); განა (1966); საბერძნეთი (1967); პანამა (1968 და 1989); კამბოჯა (1970); ჩილე (1973); ბანგლადეში (1975); პაკისტანი (1977); გრენადა (1983); მავრიტანია (1983); გვინეა (1984); ბურკინა-ფასო (1987); პარაგვაი (1989); ჰაიტი (1991 და 2004); რუსეთი (1993); უგანდა (1996); ლიბია (2011) – ამ ჩამონათვალში შეტანილი არ არის წარუმატებელი, აგრეთვე ის სახელმწიფო გადატრიალებები, რომლებშიც აშშ-ის მონაწილეობა დამტკიცებული არ არის, თუმცა დიდი ეჭვი არსებობს.

საგანგაშო რეალობა ის არის, რომ დემოკრატიის გასანადგურებლად მიმართული აშშ-ის ძალისხმევა მსოფლიოში ვითარებას უფრო სახიფათოს, უფრო უსამართლოს ხდის, იმედს კლავს, ისე კი წარმოაჩენს, თითქოს მას იცავს...

მწერალმა ჰაროლს ჰინტერმა 2005 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე სწორად თქვა: – „აშშ, უბრალოდ, პათოლოგიურად მანიპულირებს ძალაუფლებით მთელ მსოფლიოში. ამასთანავე, ინიღბება საყოველთაო კეთილდღეობის მომტან ძალად. ეს ჰიპნოზის ბრწყინვალე, ჭკვიანური და ძალიან წარმატებული აქტია... ეს არის სასტიკი, გულგრილი, მედიდური და შეუბრალებელი ქმედებები, თუმცა ეს ძალიან ჭკვიანური მოქმედებებია...“

ამერიკელთა მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალებების მექანიზმი 1953 წლიდან დღემდე თითქმის არ შეცვლილა, განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია, აგრეთვე, ძალადობაში აშშ-ის მონაწილეობის ხარისხში.

აშშ უარს ამბობს რომელიმე ქვეყანაში შეჭრასა და ოკუპაციაზე, უპირატესობას ანიჭებს „დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებს“. ცსს (ცენტრალური სადაზვერვო სამსახური) და სხვა სპეცსამსახურები, იმ საიდუმლო ოპერაციების განსახორციელებლად, რომლებიც მიმართულია ხელისუფლებების დასამხობად და იმ მოძრაობების ჩასახშობად, რომლებიც მსოფლიოზე აშშ-ის ბატონობას ეწინააღმდეგება, მარიონეტებს იყენებენ. თუმცა, როდესაც „დაბალი ინტენსივობის“ მეთოდები შედეგს არ იძლევა, აშშ-ის პირდაპირი სამხედრო ჩარევა და ოკუპაცია გარდაუვალია.

მათი მეთოდიკა ითვალისწინებს სამ ეტაპს. პირველი – ოპოზიციური ძალების შექმნა და გაძლიერება. (პოლიტიკური პარტიების, სტუდენტური ორგანიზაციების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შექმნა და დაფინანსება, კარგად ორგანიზებული და დაფინანსებული პროპაგანდისტული კამპანიის შექმნა)

აშშ უკრაინაში მუშაობს 1991 წლიდან, როდესაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ისინი იქ პროდასავლურ პარტიებს ეხმარებოდნენ, რამაც უკრაინა 2004 წლის „ნარინჯისფერ რევოლუციამდე“ მიიყვანა, თუმცა დასავლეთისგან მხარდაჭერილი იუშენკოსა და ტიმოშენკოს მთავრობა წინამორბედზე არანაკლებ კორუმპირებული აღმოჩნდა და 2010 წელს პრეზიდენტად იანუკოვიჩი აირჩიეს. შემდეგ უკვე აშშ-მა ყველა თავისი ტრადიციული მეთოდი და ხერხი გამოიყენა და 2014 წელს უკრაინა სახელმწიფო გადატრიალებამდე მიიყვანა.

დემოკრატიის მხარდამჭერმა ამერიკულმა ნაციონალურმა ფონდმა (National Endowment For Democraty), რომლის ბიუჯეტი ყოველწლიურად 100მლნ დოლარია, ცსს-ს ფუნქციები ნაწილობრივ შეითავსა ოპოზიციური პარტიების, მოძრაობებისა და კანდიდატების მომზადების საქმეში. ფონდის პრეზიდენტმა კარლ გეშმანმა 2013 წელს „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში უკრაინას „მთავარი პრიზი“ უწოდა.

მეორე – ქუჩის დემონსტაციები ძალადობის გამოყენებით. (იხილეთ პირდაპირ მაიდანი)

მესამე – სახელმწიფო გადატრიალება. ოპოზიციური ძალების შექმნა და მათი მომზადება აქტიური მოქმედებისთვის, აგრეთვე ქუჩებში ძალადობა – ეს არის მიზანმიმართული სტრატეგია საგანგებო ვითარების შესაქმნელად, რომელიც კონსტიტუციურად არჩეული მთავრობის ჩამოსაშორებელი და შემდგომში ჩამოგდების საფუძველი უნდა გახდეს.

მთავარი, რითიც უკრაინაში მომხდარი გადატრიალება განსხვავდება აშშ-ის მიერ მოწყობილი სხვა გადატრიალებებისგან ის არის, რომ უკრაინაში არმიის როლი მინიმალური იყო.

1953 წლიდან აშშ-ის ძალისხმევით მოწყობილ გადატრიალებებში გამოყენებული იყვნენ ადგილობრივი ოფიცრები, რომლებიც ჯილდოდ იღებდნენ პრეზიდენტის პოსტს, დიქტატორის უფლებამოსილებებს ან მაღალ პოსტებს მთავრობაში, რომელიც აშშ-ს მხარდამჭერი იქნებოდა, მაგრამ უკრაინის არმიის ნეიტრალურმა პოზიციამ მიზანშეუწონელი გახადა მის გამოყენება, ამიტომ ნულანდმა და ჰაიეტმა უკრაინაში სიახლე დანერგეს – ძალადობის გასაფართოებლად და დამრტყმელ ძალად ნეონაცისტური პარტია „სვობოდა“ და „მემარჯვენე სექტორი“ გამოიყენეს.

ამერიკული გადატრიალების კიდევ ერთი მახასიათებელი არის ის როლი, რომელსაც დასავლეთის მედიასაშუალებები თამაშობენ ოფიციალური ლეგენდებისა და ისტორიების რეკლამირებაში, აგრეთვე, ნამდვილი ჟურნალისტიკის ჩახშობაში! ისინი ბოროტებას სიკეთედ ასაღებენ“, მალავენ აშშ-ის პასუხისმგებლობას ძალადობასა და ქაოსზე და აშშ-ის მიერ წარმოებულ პოლიტიკას წარმოაჩენენ სიკეთისკენ მიმართულ ძალისხმევად.“

ნიკოლას დევისი და პრისტონის უნივერსიტეტის მეცნიერები თინა ხიდაშელის წინააღმდეგ! (ანუ რატომ დანიშნა „ვილაცამ“ თავდაცვის მინისტრად „რესპუბლიკელი“ თინა)

პრისტონის უნივერსიტეტის მეცნიერები: – „არ შეიძლება აშშ დემოკრატიულ ქვეყნად ჩაითვალოს, რადგან იქ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ არა ამერიკელთა უმრავლესობის ნებით, არამედ, ეკონომიკური ელიტის ინტერესების გათვალისწინებით.“

ნაშრომის ავტორები, მარტინ გილენსი და ბენჯამინ პეიჯი ასკვნიან, რომ აშშ-ს უმრავლესობა არ მართავს. თუ უმრავლესობა მხარს უჭერს მოსაზრებას, რომელიც განსხვავდება ეკონომიკური ელიტების, ან ორგანიზებული ჯგუფების მოსაზრებისგან, მაშინ უმრავლესობა მარცხდება. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობისადმი მორჩილება აშშ-ის კონსტიტუციით არის განსაზღვრული, მისი რეალიზება პრაქტიკაში თითქმის არასდროს ხდება.

გიორგი ჩხეიძე

ზურაბ კეკელიძე

საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

ექიმი, რომელიც იმედს მაჯურნალობს...

ზურაბ კეკელიძე თბილისშია დაბადებული, სკოლის პერიოდი აქ გაატარა, მერე კი, თავისი ბევრი თანატოლის მსგავსად, ექიმის პროფესიის დასაუფლებლად მოსკოვს მიაშურა. აღიარებს, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე რთული და მძიმე გადაწყვეტილება სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება:

მომავალ პროფესიაზე ფიქრისას ერთხანს ფსიქოლოგობაც კი გადაწყვიტა, მაგრამ... როცა გაეცნო, რას ასწავლიდნენ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე და რას — სამედიცინოზე, მიხვდა, რომ სწორედ სამედიცინო ინსტიტუტში უნდა წასულიყო. ამბები, რომლებმაც ფსიქოლოგობა მოანდომა, განეკუთვნებოდა ფსიქოპათოლოგის დარგს, ანუ მკურნალობის სფეროს და ამიტომაც ექიმი უნდა გამხდარიყო. როცა სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, იცოდა, ფსიქიატრი გახდებოდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინტერნატურა მოსკოვის ფსიქიატრიულ კლინიკაში გაიარა და იქვე განაგრძო ფსიქიატრად მუშაობა. 30 წლის იყო, როცა ზოგადი და სასამართლო ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მივიდა სამუშაოდ. გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 80-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში დაბრუნდა, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტში — ჯერ დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, შემდეგ კი — დირექტორად. მერე ისევ მოსკოვში წავიდა — 1993 წელს სოციალური და სასამართლო ფსიქიატრიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილედ მიიწვიეს, ხოლო 2010 წლიდან ამ ცენტრს ხელმძღვანელობს, რომელშიც 1000-მდე თანამშრომელია, მათ შორის არიან: 3 აკადემიკოსი, 50 დოქტორი და 120 მეცნიერების კანდიდატი. იმავდროულად, საგანგებო სიტუაციების დროს გადაუდებელი ფსიქიატრიული დახმარების განყოფილების ხელმძღვანელია, არის წამლების გარეშე მკურნალობისა და კლინიკური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე. ასეთ დარგში და ასეთი ხანგრძლივი სტაჟის მქონე მეცნიერის მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალიც მეტისმეტად შთამბეჭდავია, ზოგიერთი მათგანი შესაბამისი პროფილის ფაკულტეტებზე შეუცვლელი სახელმძღვანელოებია.

ზურაბ კეკელიძე არის მედიცინაში ახალი მიმართულების — ფსიქოორეანიმატოლოგიის ფუძემდებელი, რისთვისაც საგანგებო ჯილდოც აქვს მიღებული. ის, რომ რუსეთის დამსახურებული ექიმია და სხვა მრავალი ჯილდოც აქვს მიღებული, თავისთავად იგულისხმება. მათგან ერთ-ერთი გამორჩეულია „სპეციალური პრემია ექიმებს — საბრძოლო მოქმედებებსა და სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის“. პრემია 2011 წელს მიანიჭეს, მოსკოვის მეტროში მომხდარი ტერაქტების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისთვის. ნებისმიერი საგანგებო შემთხვევის დროს გამომძიებლებთან, მაშველებთან და „სასწრაფო დახმარების“ ეკიპაჟებთან ერთად შემთხვევის ადგილზე გადიან სულიერ ჯანმრთელობაზე მზრუნველი ექიმები — სოციალური და სასამართლო ფსიქიატრიის ცენტრის სპეციალისტები.

ზურაბ კეკელიძე გვიამბობს, თუ როგორ უნდა დაეხმარო ასეთ დროს დაზარალებულებს — ფსიქოლოგ-ფსიქიატრთა მუშაობა ხომ უბედური შემთხვევისთანავე იწყება გამომძიებლებთან ერთად — ხელს უწყობენ მოწმეებს გონების მოკრებასა და ზუსტი ჩვენების მიცემაში, მეორე ჯგუფი, რომელსაც სპეციალისტთა დახმარება სჭირდება, გარდაცვლილთა ნათესაობაა... ტრაგედიის შემდგომი სხვადასხვა ეტაპი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს სპეციალისტებს, ბატონი ზურაბის თქმით, **„ხანდახან ტრაგედიის მონაწილეებთან მუშაობა წლობით გრძელდება. მაგალითად, დღესაც გვაქვს ურთიერთობა**

მათთან, ვინც ბესლანის ტერაქტი გადაიტანა. განცდილი შეიძლება მრავალი წლის შემდეგაც კი დაბრუნდეს კოშმარების, გაღიზიანებულობის, უძილობის სახით. უჭირთ დაღუპულთა ახლობლებსაც — მარტოდ დარჩენაც უჭირთ და ხალხმრავლობასაც ვერ ეგუებიან. ზოგს ლაპარაკი შველის, ზოგს — მდუმარე თანაგრძნობა. მსხვერპლნი არიან არა მარტო ტრაგედიის დროს დაღუპულები, გადარჩენილები თუ მათი ახლობლები, არამედ — ჩვენ, ყველანი“.

მის ხელში მრავალი პაციენტი მოხვედრილა თავიანთი თავგადასავლებით. მათი ამბების გაანალიზება სათანადო დასკვნების გამოტანაში ეხმარება, მაგრამ იცის, არ არსებობს დაშტამპული ქცევის წესები, თუ როგორ უნდა მოიქცე ამა თუ იმ სიტუაციაში, მაგრამ მყარი და ჯანსაღი ურთიერთობების ძირითადი საფუძვლები მაინც საერთოა:

„ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის მისწრაფებებისა და სურვილების, თავისებურებების გათვალისწინება, ურთიერთდათმობა-ურთიერთმიტევება... ანუ ყველაფერი ის, რასაც ეფუძნება ცივილიზებული ინდივიდების ურთიერთობა.

ახლა ალაპარაკდნენ ეგრეთ წოდებული საქორწინო კონტრაქტების შესახებ, მაგრამ ავიწყდებათ მთავარი. როცა ვინმეს ოჯახის შექმნა სურს, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს თავი — სხეულიც და ფსიქიკაც და თავის მომავალ ცოლს ან ქმარს მიუტანოს ჯანმრთელობის ცნობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პროგნოზების მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით, 2020 წლისთვის დეპრესია პირველ ადგილს დაიკავებს იმ დაავადებებს შორის, რომელთა გამოც ადამიანი წლის განმავლობაში არაშრომისუნარიანი იყო. განვითარებულ ქვეყნებში დეპრესია ეკონომიკაში შექმნილი სირთულეების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მიიჩნევა, რადგან ხალხი სამუშაოდ სიარულს ვერ ახერხებს. მაგალითად შვედეთში ასეთ დროს შრომისუუნარობის ფურცელსაც კი იძლევიან.

„დეპრესიასთან გამკლავებას ცდილობს ახალგაზრდაც, შუა ხნის ადამიანიცა და ხანშიშესულიც, ქალიცა და კაციც. მისი შეტევა გრძელდება ორ-სამ თვეს. წარმატებულადაც რომ ჰქონდეს საქმეები აწყობილი, თავს მაინც უიღბლოდ მიიჩნევს. წარსული საშინელება იყო, დღევანდელობა — საზიზღრობაა, მომავალი კი არაფრად ვარგა, უბრალოდ არც არსებობს — აი ასეთია დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანის მსოფლაღქმა.

ჩვენი სულიერი მდგომარეობა ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიზიკურთან. ადამიანი ჩაკეტილი სისტემაა და ასეთ სისტემაში ხშირად ერთი

მეორის ხარჯზე ხდება. უმადობა ავიტამინოზს და ორგანიზმში თანამდევ ისეთ ცვლილებებს იწვევს, რომლებსაც დიდი ძალისხმევით თუ გამოასწორებ. ჩვენი ამოცანაა, ვუმკურნალოთ არა მხოლოდ ძირითად დაავადებას, არამედ სომატური დარღვევების პროფილაქტიკაზეც ვიზრუნოთ. ქრონიკული გადაღლილობის სინდრომი დეპრესიის გამოვლენის ნაირსახეობაა. მძიმე სტრესის მიზეზით შეიძლება გაჩნდეს დიაბეტი, ჰიპერტონია, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ბრონქული ასთმა, კანის დაავადებები.

ფსიქოთერაპევტის ამოცანაა, ადამიანს გადაატანინოს ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარების გამო გაჩენილი რეაქცია; მწუხარების განცდისგან პაციენტის სრულად გათავისუფლება მას არ ევალება, რადგან მწუხარება უნდა არსებობდეს, უნდა განვიცადოთ, მაგრამ არა ისე, რომ მოგვკლას. თითოეულ ჩვენგანს გვაკისრია გარკვეული საყოფაცხოვრებო ფუნქციები, რომლებიც უნდა შევასრულოთ. გვერდით უნდა არსებობდეს ვინმე, ვინც ამას შეგვახსენებს მაშინ, როცა თავი ასეთ რამეებზე არ ფიქრობს“.

ახლანდელი ეკონომიკური კრიზისი და რეცესიული პროცესები, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ჩვენს ფინანსურ მდგომარეობაზე, მაგრამ რამდენად დეპრესიული იგი თითოეული ჩვენგანისთვის და როგორ გავუმკლავდეთ ამას?

„კრიზისი, თავისთავად, ფსიქოლოგიური პრობლემაა. მადლობა ღმერთს, რომ არსად არ აფეთქებულა ატომური ბომბი, არც მეტეორი ჩამოვარდნილა. გლობალური თვალსაზრისით, ყველაფერი ადგილზეა, მაგრამ... კრიზისი გაჩნდა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში. გაჩნდა ნდობის კრიზისი. და რა არის ნდობა? პატიოსნება, წესიერება, პიროვნებისა და ურთიერთობის მახასიათებელი მიკროსოციალურ და მაკროსოციალურ გარემოში. საერთაშორისო მასშტაბითაც. თუ კარგად გავაანალიზებთ, ბოლოს და ბოლოს, მივხვდებით, რომ კრიზისული სიტუაციის დროს, ყოველ ჯერზე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ხდება — ჩნდება ნდობის კრიზისი. რასაკვირველია, იგი დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე. რადგან ყველაზე მეტად რისი გადატანა უჭირს ადამიანს? გავიხსენოთ, იყო დიდი სამამულო ომი, ამაზე უფრო დიდი და მძიმე განსაცდელი რა უნდა იყოს?! მაგრამ არსებობდა რწმენა და, როცა ხალხი ერთმანეთთან ურთიერთობდა, ესმოდათ, რომ ისინი ერთსა და იმავეზე ფიქრობდნენ. ახლა კი, სამწუხაროდ, ასე არ არის“.

ბატონი ზურაბი შინაგანი განწყობით ოპტიმისტია, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კიდეც მის მსოფლაღქმას. დილით შინაგანი ბედნიერების განცდით იღვიძებს, რომ აქვს ოჯახი, საქმე, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურება. ხანდახან არის მძიმე დღეებიც, ზოგჯერ მეტისმეტად მძიმე და პასუხისმგებლობის ტვირთით გართულებულიც, მაგრამ საკუთარი თავისა და სხვისი გადარჩენის გზასაც ამაში ხედავს — ემსახურებოდეს თავის პროფესიას, ადამიანებს, რომლებსაც მისი მკურნალობაც სჭირდებათ და რჩევაც ცხოვრებისეული პრობლემების მოსაგვარებლად. ექიმია, რომლის პაციენტებსაც ურთიერთობაში ნდობის კრიზისი არასოდეს გასჩენიათ.

ელზა ნაბახტეველი

ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540

თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი“ დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:
571 05-94-39; 593 64-63-03; 2 67-32-06

davexma r oT j aba bo j guas!

საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა ბილაინის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

ფრანგულ-ქართული საბავშვო ბაღი „პატარა უფლისწული“

ბაღი ფუნქციონირებს 2014 წლის 15 სექტემბრიდან. ბაღის სასიამოვნო გარემოში ბავშვები სწავლობენ ფრანგულს და აქვთ ხატვის, სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის და თეატრალური თამაშების გაკვეთილები.პარატებს გაკვეთილებს უტარებენ სენტ ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯის გამოცდილი მასწავლებლები.

„პატარა უფლისწული“ იღებს 3 დან 5 წლამდე ბავშვებს და მუშაობს 10 საათიდან 7 საათამდე.

დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:
595 727979 – ირინა ტერელაძე;
599 224328 – ქეთევან იოსელიანი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – კვირის დასაწყისში ემოციურ გადაღლილობას იგრძნობთ, რაც გააძლებინებს ურთიერთობების დარეგულირების და საჭირბოროტო კითხვების დადებითი კუთხით გადაწყვეტას.

კურო – ეს კვირა თქვენთვის საკმარისზე მეტად დატვირთული იქნება. ამიტომ ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას სერიოზულად და ყურადღებით მოეკიდეთ. ნუ გამოავლენთ ხასიათის უარყოფით ნიშნებს.

ტყუპები – კვირის დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემები გარკვეულწილად გაგანერვიულებთ, რის გამოც, მოსალოდნელია კონფლიქტურ სიტუაციებშიც აღმოჩნდეთ ჩართული. შეეცადეთ იყოთ ზომიერი.

კირჩხიბი – არ იზარმაცოთ და არ მოდუნდეთ, რომ თქვენი გეგმებისა თუ საქმეების ჩაშლა არ მოხდეს. საჭიროა აქტიურად იმოქმედოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოთ წინ. გაფრთხილდით საუბრის დროსაც, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ წამოგცდეთ და თქვენი სიტყვა მომავალში თქვენს წინააღმდეგ არ გამოიყენონ.

ლომი – მიმდინარე კვირაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოგიწევთ – ამ საქმეთა უმრავლესობა კოლექტიურ საქმიანობასთან და მოგზაურობა-გადაადგილებასთან იქნება დაკავშირებული.

ქალწული – გირჩევთ, ამ კვირაში არ მოინდომოთ სერიოზული საკითხების გადაჭრა, ნურც რაიმე „გმირობის“ ჩადენას მოიწადინებთ, რადგან მოსალოდნელია, რომ მაქსიმალური ძალთა ხარჯვით მინიმალურ შედეგს მიაღწიოთ.

სასწორი – წარმატებით გააგრძელეთ ადრე დაწყებული საქმეები. მოგიწევთ უამრავი სასარგებლო შეხვედრა. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების მრავალ სფეროში.

მორიელი – მეტ-ნაკლებად სასიკეთო პერიოდი იქნება, გამოავლინეთ მეტი თავდაჭერა და ინტუიცია. კვირის ბოლოს შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიოთ.

მშვილდოსანი – მოსალოდნელია, მოგეჩვენოთ, რომ საქმე ერთ წერტილზეა გაყინული და წინ აღარ მიდის, თუმცა ეს ასე არ არის.

თხის რქა – მოერიდეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას და არაფრისმომცემ საუბრებს. შესაძლოა, იმპულსურობა და მოუთმენლობაც გამოამჟღავნოთ, რასაც, ბუნებრივია, შეცდომების დაშვება მოჰყვება.

მერწყული – თქვენთვის ეს პერიოდი სასიკეთო იქნება. მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი გონებრივი შესაძლებლობები, რაც ცხადია, თქვენს წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

თევზები – შეეცადეთ, არ იყოთ უსაქმოდ და მიმდინარე პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენოთ. თქვენთვის მეტად პროდუქტიული იქნება კვირის დასაწყისი – იმოქმედეთ და დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს.

ISSN 2233-3983